პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი

| განცხადების ტარიფი: | ხელის მოწერა: | რედაქციის მისამართი: |
| --- | --- | --- |
| ერთი გვერდი . . . 150 მ. | ერთი წლით . . . . 10 მ. | რუსთაველის პრ. № 22. |
| ნახევარი გვერდი . . 75 მ. | სამი თვით . . . . 3 მ. | კონტორის მისამართი: განათლების სახალ. კომისარიატი, სახელგამი. |
| მეოთხედი გვერდი . . 35 მ. | ცალკე ნომერი ყველგან—50 კ. | მიიღება ხელის მოწერა დილის 8—2 ს. |

№ 29 — აგვისტო 1925 წ. — № 29

# წითელი დროშის ლეგენდა.

(კ ი ნ ო - ლ ე ნ ტ ა)

**პროლოგი:**

ადრიანი გაზაფხული...

მრავალფეროვანი ყვავილები ილქვეტენ ყურს და ზამთრის სუსხით დამზრალ ტანს ისწორებენ ცხრათვალა მზის სიცილით...

შავი ზღვის სანაპირო...

მის, მუდამ ყურთმაჯა გადაგდებულ მწვანე ქათიბს ღილებად ებმის სისხლის ფერი ვარდი, და დილის სალბუნზე კოცნად იწვევს სიყვარულს...

პაწია ია აედუგმა ქათიბს, საყელოზე, და მორცხვი ღიმილით ნაბავს თვალს...

ნელი სიო ქოჩორს უვარცხნის ლამაზ ბუნებას, და სიხარული, აღმაფრენად, იბერტყავს ფრთებს...

ალუბალი თეთრ ფარჩის კაბას იკერავდა, და ენდროსფრად აგვირისტებულ ნუშს იწვევდა შეჯიბრში, რომელზედაც შემომჯდარიყო შოშია, და ქლურტულებდა...

ის თუმცა ადრე მოსულიყო, გაზაფხულის შიკრიკად, მაგრამ, გაუბედავი, ვერ ამხელდა...

და... გზას უცლიდა მასზე კარგა დაგვიანებულ, მაგრამ გაბედულ მაყარს, კუდმაკრატელა, მოუსვენარ მერცხალს...

ლურჯთვალა ზღვა, უწვდენ კალთებით, ჰამაკისავით ირწეოდა...

შორს, შორს მოსჩანდა იალქნებ აზიდული ხომალდი ზღაპრულ სურათად...

კურორტი...

ფორთოხლით და ლიმონით ასევადებული ბაღი...

კლაკნილ ბილიკზე მოსეირნე რამდენიმე ავადმყოფი მზეზე ითბობენ მკერდს...

— ჰაი დედასა! წინად ვინ გვაღირსებდა აქ შემოსვლას?!

ჩაილაპარაკა ერთმა.

— ჰაი, ჰაი რომ არა, როდესაც, მხოლოდ მდიდართა საკუთრება იყო.

დაეთანხმა მეორე.

აქ ნახავდით: მუშებს, გლეხებს, მეზღვაურებს, მხედრებს, მუშა-ქალებს და ბავშვებს...

ბავშვები შემოსეოდენ აუზს, რომელიც სცემდა შადრევანით და, გედები, ყელმოღერებულ სიდინჯით დასცურავდენ შიგ...

ისმოდა მხიარული ჟრიამული...

— მერე, მერე, გოგი?

არ უსვენებდენ პალმის ქვეშ, გრძელ სკამზე ჩამომჯდარი ავადმყოფნი, ამხანაგს, მეზღვაურის ტანსაცმელში.

ის მხოლოდ დღეს წამომდგარიყო, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, საწოლიდან, და ბერკეტს ებჯინებოდა...

ძალიან მხიარული იყო და სხვა და სხვა სახუმარო ამბითართობდა ყველას...

— კიდევ გვიამბარ რამე.

ჩააცივდენ.

— დავიღალე, ხოგი შემდეგ.

მიუგო მან და მისი თვალები მიიტაცა, მარცხნით, მაღალმა სერმა, რომელიც ზღვის სანაპირო საგუშაგოდ ითვლებოდა.

და, ზედ აღმართული წითელი დროშა, მზის მძივთა კრიალოსანზე ირხეოდა ანცად...

თოფზე დაყრდნობილი გუშაგი ზვერავდა უსაზღვროებას, მის დაცვად...

თვალი მოეჭრა გოგის...

— დღეიდან ეს ახალი სათნოების-და იქნება თქვენს პალატაში!..

რა ჩამოუარა ექიმმა, შეკრებილთ, უთხრა და გაიცნო.

ქალი, სამგზავრო ტანსაცმელში და, ხელში პატარა ჩანთით, მიესალმა ყველას, ღიმილით, და აედევნა ექიმს.

— ახალი სათნოების-და? ჰმ!..

ავადმყოფებს ჩურჩული შეუდგათ და მოჰყვნენ ხუმრობას, ლაზღანდარობას...

— ო, ნეტავი სად ვნახე პირველად?..

გაიფიქრა გოგიმ, რა მისი სახე ემცნაურა და, თვალი გააყოლა...

— რა ცუგრუმელა ვინმეა, და!..

— დასევდიანება ეტყობა,..

გაიბა ლაპარაკი.

— ნუ თუ ისაა?

გაიფიქრა გიგომ.

— ჰა, გოგი, ხომ არ მოგეწონა, ა?..

წაეხუმრა, სიცილით, ერთი ავათმყოფთაგანი.

— დამეხსენით!..

— ოჰო!..

ასტყდა სიცილი...

გოგი ფიქრებმა წაიღეს და ჩამოჯდა.

— ის უნდა იყოს. ღიმილი, მისი ღიმილი...

— მერე?..

არ ესვენებდენ.

— ო, თქვენ არ იცით, ამხანაგებო; მაშინ ედეთი არ იყო... მაშინ კალამი ვერ ასწერდა შვენებას... სიცოცხლით სავსე... მაგის წარსული არც ისე უყურადღებოა.

— გვიამბე...



აბასთუმანი. დასასვენებელი სახლი.

— აიმ დროშის ამაყმა ფრიალმა და მაგის ნახვამ გამახსენა ერთი საშინელი ეპიზოდი...

ეს იყო ამ ახლო წარსულში, საქართველოს გასაბჭოებამდე...

— როდის?

— იმ კატასტროფის დროს, როდესაც დაიღუპა ის ხომალდი, რომელზედაც მე ვმსახურობდი; იქ ვნახე პირველად.

— ჰო, კარგი, დაიწყე...

შემოესივნენ.

— მაშ, აბა...

— ასწიეთ ფარდა!..

I

მზე თავდაყირა ესვენებოდა ზღვის ვნებიან უბეში...

იის თვალება ცის კაბადონს ღრუბელთა ქულა წამოეშალა, დასაზვერად, ვით დაღალული ქარავანი, უდაბნოში, ოაზისის ძიებად...

ნიავი ქოჩორს ივარცხნიდა ზვირთთა სარკეში, და, იალქნებზე ამზადებდა არენას, მომავალ ქარის სამაყროონოდ...

ზღვის, ქარიშხლის წინ, ჯერ წყნარი ტალღებზე,







წალვერის სანატორიუმი კურუპრა. აბასთუმანი. დაკიდებული ხიდი. აბასთუმანი. ჯ ებ ის ალლეია

ამაყად მისცურავდა თავმომწონე ხომალდი, და აპობდა მარმაშა ზვირთებს...

და, საზღაპრო ეკრანად ეშლებოდენ ჩამაველ მზის ქარვის მძივებს, რომელთაც, იგი, ანძებზე აბმით, კინოსარტყელად ავლებდა აფრებზე და მიჰქროდენ ელვის სისწრაფით...

სწერავდენ რაღაც საიდუმლო ეპიზოდებს სამყაროის უსაზღვრო გაქანებით...

გაგიჟებული დროშა ყაყაჩოს ყურებს იბერტყდა შერკინებაში გამოწვევად...

მისუსტებულ დღეს, შავმანტიანი ღამე, საზარელ პაროლით, უპირებდა შეცვლას საგუშაგოზე...

მწუხრი...

საიდგანღაც მზადდებოდა შეტევა ზღვის ასაყირავად...

საშემოდგომოდ ატეხილი ბუნება დგებოდა სარეცელით, ყალყზე, იფშვნეტდა თვალებს და წითელ ზოლებით ჰკლაკნიდა მსოფლიოს გარდაქმნის ქარტას...

გამოურკვევი შიში აღიმართა, შორს...

II

მკერდ ღია და მკლავ აკეცილი ანცი მეზღვაურები თავხედად გაჰყურებდენ ჰორიზონტს...

აღმტაცი სიმღერა...

იმედიანი ცეკვა...

მგზავრთა სეირნობა, ბაქანზე, სიცილი, მუსიკა...

თვალწინ იშლება წარმტაცი სურათები...

ხომალდს ასდევნებიან ონავრები როგორც ყოველთვის, და ელიან ულუფას...

და მოაჯირზე გადაყუდებული ახალგაზრდა ქალვაჟი ჰპატიჟებენ მათ პურით, ხილეულით...

— ლეო, შეხედე: იგი რა ლამაზია?..

და უჩვენა ორაგულზე, რომელიც ტალღებზე ოთურმას გადადიოდა...

— მაგრამ, შენ ვინ შეგედაროს, ლილი?..

მორცხვი ღიმილი...

ანეტარებული სიჩუმე...

სიყვარულის ასალმუნება გამოუცდელ რომანის წიგნის აფურცვლით...

ფიქრები ბედნიერებაზე.



აწყურის ციხე

III

ყველა აქა...

ხომალდის შუბლზე, ლუზასთან, მკლავებ გადახლართული მეზღვაური ღიღინებს, და, ადის სადარაჯო კოშკზე...

გაჰყურებს აღებულ გეზს...

ეხლა სახიფათოა ცურვა...

მსოფლიო ომის დროს ჩაყრილი ნაღმები, ზღვის დენით მოგლეჯილები, აღარ არიან თავის დანიშნულების ალაგს და უგზო-უკვლოთ დაეხეტებიან...

მიმოსვლა გაფრთხილებულია ..

უფროსს ცნობა აქვს, აგრეთვე, რომ თეთრგვარდიელების მიერ გატა'ებულ სამხედრო ფლოტის ზოგიერთი კრეისერი და ნაღმოსანი ახლო-მახლო დათარეშობს...

ეკიპაჟი მზადაა...

კომისარი ფხიზელ თვალს ათამაშებს...

ხომალდის უფროსი, თავის ოთახის წინ, კიბეზე, უკმაყოფილოდ იყურება, შორს...

— ჰმ!..

რა დაბრუნდა ოთახში, უიმედოდ ჩაჰკიდა თავი...

დურბინდი მაგიდაზე დასდო და ყიბლანს შეხედა.

მიმართულება ნისლმა მოიცვა...

მაგიდას მიუჯდა და დაიწყო წერა...

ხომალდი კი მისცურავს...

მიემართება თავმომწონედ...

საით?

IV

ო, ვინ არ იცის საქორწინოდ გამზადებული ვაჟი, როს მოახტება თავის შეკაზმულ ლურჯას, ყაბალახს უკან გადიგდებს, და...

ყალყზე შემდგარი ცხენი ტრიალებს, ჭიხვინებს, გაგანიერებულ ნესტოებიდან ნაპერწკლებს აკვესებს, მოუთმენლად სცემს ძირს ტოტებს და ილეწს ნალს...

მხედარი მზეს ეთამაშება...

ყველა მას უმღერის...

გული ღელავს და, მოუთმენლად ელის შეხვედრას, პატარძლის გადმოდგომას საზეიმო დარბაზის ბანზე...

შეხვედრა?

ჰმ!..

გულის უხილავ კუნჭულში მიმალული ქნარი, სიმთა თრთოლვით უამბობს ამას...

ხომალდი?

ელის ნავთსაყუდელს, აჩირაღდნებულ კანდელით...

V

— ლეო! შეხედე?..

და ორი ანთებული თვალი, ვნებიანი ზმორებით ეტყორცნა აშოტილ ტანს მთიელის, რომელიც ჩოხის კალთებ აკეცილი, ხანჯლის აელვარებით, მკლავთ ორბისებრ ჭშლის და ფერხთ სისწრაფე ბაქანს არ ეკარება...

— ლილი!..

ვაჟი დაეჭვ-ანდა...

გულაფორიაქებულმა თავი ჩაჰკიდა...

— ლეო!..

გაბუტვა...

ალბად ასეთია შეყვარებულთა პირველი თქმა!..

VI

რევოლიუციის ალვირის აწყვეტის შემდეგ სამი მთიელი მოემართება სამშობლოში.

ესენი არიან: მამა შვილი ჩერქეზები და მესამეც მოხევე, რომელიც ჩონგურის სიმებზე მარდად ათამაშებს თითებს...



აბასთუმანი. ხიდი წყალთვარდნილზე.

მოხუც ჩერქეზის ზუზუნი...

ღიღინი...

ახალგაზრდა?—

შამილის ლოცვა...

ო, რამდენი ტანჯვა იხატება ამ ლოცვაში, და ღალადისი!..

შემდეგ?—

ომახიანი სიმღერა...

ტაში, და...

თითქოს შეჯიბრიაო, ?ღ.ვაურთა მეხიარულების შერკინებაში გამოწვევას უპასუ ს...

ხელთათმანი ალებულია...

დაჭრის ცერებზე...

უტევს ირგვლივ, სურს რკალის გარღვევა...

ბრძოლა თავისუფლებისათვის...

განთიადის აცისკროვნება...

სიყვარული მთების, სადაც მხოლოდ ორბები თუ გაბედავენ შეჰკრან კამარა...

მგზავრებს შიში უკუეყარათ ამ სანახავით დატყვევებულებს...

აღტაცებული ჩურჩული:

— ამ ხალხის თავგანწირვას და სიცოცხლეს ვინ შეედარობს?..

— სიხარული, მონობის არ შეგუება...

ო, სილამაზევ! რა კარგი ხარ, ვისაც აქვს შენი გაგება!..

— თავისუფლება!..

VII

შამილის ლოცვა შეიცვალა ლეკურით,

აღიმართა კავკასიონის შეინება...

ჩერქეზმა შევარდენივით ჩამოუქროლა, გამოწვევად, ლილის...

ქალი ველარ ითმენს...

სისხლი ატოკდა მშობლიურ ჰანგზე, და...

შეირხა...

ლეოსთვის აღარ შეუხედია, ისე მოსწყდა ადგილს, გაიშალა და გაუსწრო წინ, სრიალით...

მიჰქრენს ლაღუა ხოხობი და მისდევს შევარდენი...

აი, საცაა დაეწევა და ჩაავლებს ალმას კლანჭებს, მაგრამ, აქ, თავგანწირვით, სწრაფად შემოუბრუნდება ხოხობი, და...

მისი სილამაზით შემკრთალი შევარდენი თვრება, უკან იხევს...

ხოხობი, სიტორფით გამარჯვებული, რა ატყვევებს ონავარს, მოულოდნელად, სწრაფ შეტრიალდება და უსხლტება...

გაბრუებული შევარდენი გონს მოდის და, ხედავს რა ეკარგება საუნჯე,—უკანასკნელი ნახტომი, თავგანწირვა, და...

ეწევა...

ხოხობი აღარ ვაურბის...

გრძნობს რა შევარდენის სიმარდეს, განწირვას...

ქროლვას უკლებს...

ალიზიანებს...

აღარ სურს გაქცევა...

იხიბლება, და...

ნიშნად თანხმობის, შემოტრიალდება...

ეძლევა...

და, ორივენი, ერთად, ასხივოსნებულ თვალგაყრილნი, რამოდენიმეჯერ წრის ქარგვით ათავებენ...

სიყვარულის გვირგვინი...

ნეტარება...

დაღლილი ლილი ჩერქეზის მკლავზე გადაესვენა...

ჩერქეზი აკანკალდა...

თვალთ დაუბნელდა, და, დასწვდა, რომ მოეტაცა კოცნა ვარდის ტუჩებზე...

— შვილო...

მოესმა, და, მხარზე იგრძნო მაგარი ხელი, მამის.

მარმარილოს მატურს დაემსგავსა...

დახრილი საროს ტანი აღიმართა, და, შეხედა მამას, რომელიც ბრძანებლობითი გამომეტყველებით უკრძალავდა განზრახვას...

— რათა, რისთვის მამავ? რად მიკრძალავ წუთიერ გატაცებას მაინც?!

გაუელვა მას, რაიც აშკარავდებოდა მის გამოხედვაში...

ლეოს გამორჩა ეს...

ქება...

იქუხა ტაშმა...

— და, განა ეს ლეკური, ზემონახულის სიმბოლო არაა?..

წარმოსთქვა ერთმა მგზავრთაგანმა.

VIII

— ხომ არა ჯავრობ, ლეო?..

რა მიუახლოვდა, ლილი, უთხრა ყელმოღერებულ ღიმილით, ლეოს, რომელიც აღტაცებით ელაპარაკებოდა ნაცნობ ნავთსადგურელ მუშას.

— ო, არა, სიცოცხლევ!..

გადაეხვია...

კოცნა...

— ლეო...

— ო, საყვარელო!.. შენ გამახსენე ჩვენი ლამაზი ქვეყანა.. რატომ ჩვენ, სტუდენტობის მიერ გამართულ საღამოებზე კი არა ცეკვავდი ხოლმე, ა?..

ღიმილი...

— მე მეგონა, რომ მხოლოდ სათნოების-დობა იცით მეთქი, ბარიკადებზე...

ჩაერია, სიცილით, მუშა.

— თქვენც აქა ყოფილხართ?!.

— აი, როგორც მხედავთ.

ლილი აწითლდა, რა იგრძნო, რომ მათს კოცნას მოწმე დაესწრო.

— სხვა, სანდრო, საით?

— დავალებით, ჩემო ლეო; შენ ხომ იცი, იქით.. როგორც რევოლიუციის ჯარისკაცი, ვასრულებ მის ბრძანებას.

უთხრა მუშამ, ღიმილით, და აჩვენა რაღაცა ქაღალდები.

გაიბა ტკბილი მუსაიფი...

გაიხსენეს უკანასკნელი ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონერებთან, ოდესაში...

ლეოს და ლილის მუდამ მუშებთან ყოფნა, ბარიკადებზე...

— სადაც ლეო იყო, განა მე შემეძლო იქ არ ვყოფილიყავი?..

ჩაერია ლილი.

გაიბა დაახლოვება მთიულებთან.

ისინი ვერ მალავდენ სიხარულს, თანამემამულეებთან შეხვედრით...

ხომ ასეა ყოველთვის, როდესაც, შორეულ ქვეყანაში, ან მგზავრობაში შეხვდებიან ერთი ქვეყნის შვილნი!..

IX

— დიდებულია! თქვენ შეუდარებელი იყავით! მე აღტაცებაში მოვედი...

ჩაერია ლაპარაკში ერთი ხანში შესული სამხედრო პირი, ტაშის კვრით, ულვაშების სწორებით... და ლილის გამოეჭიმა.

ლალაბი განგებ ჩამოეშვა მეტი დაჭიმვით, მარცხენა ხელი უკან წაეღო, მარჯვენა კი წინ, გახუნებულ მუნდირის ღილებშუა, უბეში და რომელიღაც სამხედრო ჰანგს ღიღინებდა.

ეტყობოდა, ოდესღაც, არც თუ ისეთი „უბრალო ვინმე“ უნდა ყოფილიყო...

— შეიძლება?

მოიბოდიშა და, ხელზე ეამბორა ლილის, მსუნაგად...

— ო, მახსოვს, როდესაც ვმსახურებდი მის იმპერატორობით უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის პოლკში...

წარმოსთქვა, კვლავ, მან, და შეჩერდა; ტუჩზე იკბინა...

ეტყობოდა ძალაუნებურად წამოსცდა, და შეხედა ყველას, გამოკითხვით...

— განაგრძეთ... ჩვენ, დამარცხებულებს, აღარას ვერჩით...

უთხრა მუშამ, რა უხერხულება შეამჩნია.

— ეჰ, მაშინ სულ სხვა იყო... ეხლა კი, რას იზამთ, ჩემნაირებს: „ყოფილ ადამიანს“ ეძახიან...

ჩაილაპარაკა მწუხარედ.

— საით მიემგზავრებით, მოქალაქევ?

შეეკითხა ლეო.

— მოქალაქეო?! ჰმ! მე გრრრ...

აღარ დაათავა.

დანაოჭებული სახე, უფრო დაეღარა, ლოყები აუცახცახდა, და, ქვედა ბაგეს მოჰკიდა კბილები... ცდილობდა უხერხულობიდან გამოსვლას.

— გრაფი?!.

დაამთავრა ანდრომ, გულიანი ხარხარით.

— არა, მე... დასწყევლოს ეშმაკმა... როგორა ვსთქვა...

შიში დაეტყო.

— ნუ გეშინიათ, განაგრძეთ...

არ უსვენებდა ანდრო.

— რა ვუყოთ; აი მეც, ოდესღაც, აზნაურის ქალს მეძახდნენ...



აბასთუმანი. ოქტომბრის რევოლიუციის ქუჩა, ალვის ხეების ხეივანი.

უთხრა, ლილიმ, ღიმილით, და ლეოს გადახედა.

— ლეო თუ გლეხის შვილია, რითაა ნაკლები?..

ჩაერია ანდრო.

ნაგრაფალს შვება დაეტყო და, თვალები აეცრემლა.

— ნეტა სად მინახავს ეს კაცი?

გაიფიქრა ლილიმ და სცდილობდა მოგონებას.

X

— ყოვლად შეუძლებელი შეიქნა ცხოვრება, რუსეთში, —დაიწყო მან, ნელის ხმით,—აი მე, თუმცა არასოდეს ვყოფილვარ ცუდი კაცი, მუდამ კეთილსინიდისიერად ვეპყრობოდი მშრომელ ხალხს, მაგრამ მათ არ დამინდეს, ყველაფერი ჩამომართვეს...

— ისემც რა გითხრა, რაც შენ კეთილი არა გდომნიყოს მშრომელთათვის!

გადაუჩურჩულა ანდრომ ლეოს და ზიზღით გადახედა მოსაუბრეს.

— ეხლა აღარაფერი მინდა, გარდა დასვენების. დავილალე ამდენ ბრძოლებში... ანუ ვის არ დაღლის ამდენი არეულობა?!

— მუშებს!..

დაუმატა, ანდრომ, ამაყად.

— და, აი მეც ვიფიქრე: ღეიდასთან მაინც წავიდე მეთქი... თქვენში სცხოვრობს, საქართველოს რესპუბლიკაში... მიატოვა რა პეტროგრადი, თბილისს დასახლდა...

— თუ მიატოვებინეს?..

არ უსვენებდა მუშა.

— რასაკვირველია, თქვენ მართალი ხართ; მიატოვებინეს, იქ აღარ შეეძლო დგომა...

— და, განა არ იცით, რომ, ჩვენ, მუშები, მტრებს არ მივსცემთ ნებას ჩვენში ყოფნისას? ვინც კი შეურიგდება მშრომელთა ხელისუფლებას და პატიოსნად დაიწყებს თანამშრომლობას, ყველას ექნება ბინა. ანუ, აი თქვენ, სამხედრო პირი ხართ, შესულიყავით წითელ ლაშქარში და, დაგემსახურებინათ პატივისცემა, კოაუნისათვის ბრძოლაში,

— ო, ისევ? სისხლი,არა, არა!..

— ყირიმიდან რომ ვიფრინეთ, უკანასკნელად, ალბად მას შემდეგ თუ დაადგა მაგ აზრს!..

გადუჩურჩულა ანდრომ, ლეოს.

— აი, თქვენში, ამბობენ: პირდაპირ სამოთხეაო. იქ მაინც მექნება საშუალება დასვენების...

— ჰმ! ჩვენში მიეშურება დასამალად? ის კი არ იცის რომ ქართველი ხალხი რამდენი ხანია სწყდება თავისუფლებისათვის ბრძოლაში და ასეთებს არ ითმენს...

უთხრა ლეომ მუშას.

## XI

— ბედნიერები ხართ კავკასიელნი! სანეტაროა თქენი ცხოვრება, სიცოცხლე. ლამაზი ბუნების შვილნი, ცელქნი, მხიარულნი და ამაყნი... აი ეხლა ვუყურებდი რა თქვენს ცეკვას, ჩემი ჟამგადასული გულიც კი ატოკდა; შევნატროდი თქვენს ბედს... თქვენ, ალბად, არ იცით დამწუხრება, უბედურება...

განაგრძობდა ნაგრაფალი.

— ჩვენ?! ჰა! ჰა! ჰა!..

ჩაეროია მოხუცი ჩერქეზი, დაცინვით.

— ჩვენ არ ვიცით წუხილი? ვის უნახავს ჩვენზე მეტი უბედურება?

მართალია, ჩვენ ცელქნი ვართ, ურჩნი, ბედნიერნი და ლამაზნი ჩვენი ბუნებით, მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ ვიცით მწუხარება, ლოცვა, მხიარულება და ბრძოლაც თავისუფლებისათვის!..

თქვენ ნასწავლი კაცი სჩანხართ და კარგად გეხსომებათ ჩვენი ბრძოლები მეფის ჯარებთან...

პოლკოვნიკს შუბლი შეეჭმუხნა.

ამის შემყურე ახალგაზრდა ჩერქეზი აენთო და ხანჯალის ტარს მაგრა ჩაჰკიდა ხელი, უკუღმა, და განზე გავიდა გულამღვრეული გადაეყუდა მოაჯირს და დააშტერდა აფორიაქებულ ტალღებს...

იგი იყო, ვით ზვავი მაღლით დაქანებული, რომელიც წალეკვას უქადის ყველა წინ გადამღობე ზღუდეებს...

მას გახსენდა ბებიას მიერ თქმული ამბები, ზღაპრად, მთიელების ლამაზ ბრძოლებზე თავისუფლებისათვის; მისი ნორჩი გული აიზიდა გმირთა ლანდების ყივილზე, და...

## XII

— აი ჩემო ელდერ, გენაცვალოს ბები, როცა გაიზრდები, დაიხსომე ეს თქმულება, რაც გითხარი,—ეუბნებოდა დიდედა ფატმა, ბუხრის წინ ცეცხლაპირას მჯდომი, პატარა ელდერს, რა დაათავა მთიელთა გმირული თავგადება თავისუფლებისათვის ბრძოლაში—და გიყვარდეს ის ქვეყანა, რომელსაც, სხვათათვის თუ არა, მის ნამდვილ შვილთ გულში მაინც, თვით ზამთარშიაც კი მწვანე ხავერდითაა გადაფენილი, რომლის შვენებაზედაც ამოქარგულია სისხლისფერი სამი ლამაზი სიტყვა:

ბრძოლა. სიყვარული. თავისუფლება.

შეიყვარე აი ეს ქვეყანა, რომელსაც ამობურცვიან. ვით დათალხულ დედის ძუძუები, ტიტანიური მთები, რომლებიც ალბჯენიან ფირუზ ცას, თითქოს სვეტებად შესდგომიან ამ უდიდეს თაღს, რათა იგი არ ჩამოაწვეს ამ ლამაზ ქვეყანას და არ გაანადგუროს. ამ მთებს, რომელთა ყირვან წვერზეც, ყოველ დილით, მზე ოქროვან გვირგვინს ადგავს ხოლმე და, რომლის წიაღშიაც იზრდებიან მხოლოდ ორბნი, არწივნი: ფრთა ცეცხლიანნი, თვალებ ლამაზნი, ბრჭყალებ ალმასნი, და გადმოსდგომიან ამ მაღალ სადარაჯოიდან, რათა, თუ ვინიცობაა შეამჩნიეს ყვავყორანთა რაზმები, შესამუსრავად მათი ძლიერების, გაშლიან ფრთებს, აელვარებენ თვალებს, ალესავენ პიტალო კლდეთა მწვერვალოებზე ბრჭყალებს, დაეშვებიან დაბლა, ან მოსრავენ მათ და ან თავის ძვლებზე გადმოატარებენ...

— ბები, ნეტა მეც ვიყო ერთი იმ ორბთაგანი!

— უნდა იყო საყვარელო ჩემო ბიჭიკო. როცა გაიზრდები, მაშინ...

თვალწინ წარმოუდგა ელდერს სიყრმე, უდარდელი ხანა, ნაზი ალერსი ბებიასი...

— და, იმ ყორნებმა დამიკორტნეს გული, უდროვოდ..

ჩაილაპარაკა.

— მაგრამ არ შერჩათ. და თუ ვინმე დამიხვდა კიდევ, იქ, რა რომ დავბრუნდები მთებში, მე ვიცი!..

ჩვენსკენაა სიმართლე და დახმარება რუსეთის მშრომელთა...

## XIII

— აის ჩემი ვაჟია, ეს ჩემი მეზობელი მოხევე—განაგრძობდა ჩერქეზი—ჩვენ, სამივე ერთად გადაგვასახლეს კავკავიდან, ამ ათი წლის წინად, ციმბირს, მხოლოდ იმისათვის, რომ ველარ ავიტანეთ ჩვენში მეფის მიერ დაყენებულ ჯალათების წამება და, ალვმართეთ მახვილი...

თქვენკი გადმომდგარხართ და თავს იკატუნებთ. გიცნობთ რა შვილიცა ხართ! თქვენ ჩვენს განთავისუფლებას ვერ ინელებთ, მაგრამ რუსეთის ძლევამოსილი მშრომელი ხალხი, რომელმაც თავი გაინთავისუფლა მონობის უღელიდან, ჩვენც გამოგვიწვდის ძმურ ხელს...

— მმე... მე რა, მე...

ენა დაება პოლკოვნიკს; ფერი ეცვალა.

— თქვენ არ იცით სამშობლოს სიყვარული, თქვენ გაურბიხართ მას; ვერ შერიგებიხართ იმას, რომ მშრომელმა ხალხმა გამოგტაცათ ძალა-უფლება,—არ ისვენებდა მოხუცი მთიელი—ჩვენ კი, ჩვენ ამისათვის გვაჩვენეს ციხის ნესტიანი დილეგი, ციმბირი, კატორღა, მაღაროები, აუტანელი ტუნდრები და ნისლიანი ტაიგები...

## XIV

პოლკოვნიკს უხერხულობა დაეტყო და ადგა.

— მაპატიეთ... თავი შეგაწყინეთ, ვგონებ...

წარმოსთქვა მან და დააპირა წასვლა.

— ნუ გეშინიანთ გრაფო!..

შეეხუმრა ლილი.

— ო, არა, თქვენკი, არა, მაგრამ ეს მეზღვაურები დაუნდობელი ხალხია; რომ გაიგონ... ერთხელ, კრონშტატში, დრედნოუტიდან კინაღამ ზღვაში არ...

და ამ დაუმთავრებელ სიტყვებით განშორდა.

— როგორც გველი, ისე არ დაინდობის ეგა.

წარმოსთქვა, აქამდის ჩუმად მდგომმა მოხევემ.

— შენ მართალი ხარ, ძმაო; კარგია მაგისი ზღვაში გადაყურყუმელავება, მაგრამ გამარჯვებულებს არ შეშვენის შურისძიება.

მიუგო ლეომ.

— რათა, შეიძლება შეიგნოს რევოლუცია და მის დასაცავად თავიც არ დაიშუროს...

სცადა, ლილიმ, დაცვა.

— ოჰო, აი ალაპარაკდა თავადაზნაურული სისხილ!

სთქვა, ანდრომ, სიცილით.

ლილის ღალის ფერმა გადაჰკრა.

— ო, აბა, ამხანაგო ლილი! ნუ თუ დაგავიწყდათ ჩემი ხუმრობა?

თქვენში ეჭვი არადროს არ შემპარვია; თქვენ ე ბევრჯელ დაამტკიცეთ ჩვენს ბარიკადებზე... მაგრამ, ვიცნობ ამ ვაჟბატონებს! აბა ერთი დროშ იხელთონ, განა კვლავ სისხლში არ ჩაგვალრჩობენ?!

— ეჰ, ბატონების და მდიდარი ხალხის რევოლიუციონერობა შევარცხვინე აჰაანდე! ეგენი ისევე იქნებიან რევოლიუციონერები, როგორც მე ჩინგიზ-ხანი!..

იხუმრა მოხევემ.

— კარგი იყო ბარიკადებზე ბრძოლა!..

სახე გაუბრწყინდა ლეოს.

გახსენება...

XV

იეთრების მიერ დანგრეული ქალაქი..

იწვის...

ხანძარი ცას სწვდება...

ზარბაზნები აზანზარებენ არეს...

ატეხილი ქუჩები ქედს არ იხრიან..."

— რევოლიუცია განსაცდელშია!..

დაიგუგუნა ბელადის ხმამ, და...

— შეიარაღდით!!!

გმირული თავდადება...

მცირე რიცხვი-ღაა წითლების...

მოწინაალმდეგე დღესასწაულობს, ნაადრევად, გამარჯვებას...



აბასთუმანი. სანატორიუმი № 2. ნ. კ. ს. რ. ს. ფ. ს. რ.

უკანასკნელი ბარიკადა, კი...

არ ნებდება.

— ხა! ხა! ხა!..

ისმის დაცინვა.

მტერთა ურდო ქეიფობს...

ბარიკადა არა ხუმრობს...

იფლითება დროშა...

— ვიდრე ერთი ტყვია მაინც დაგვრჩება!..

ყვის ანდრო.

— აგრე!..

უპასუხებს ლეო.

— როგორმე უნდა დავიცვათ ბარიკადა, ჩვენების მოსვლამდის...

— უკანასკნელი სისხლის წვეთამდე!..

— თუნდაც ყველას დაცემა მოგვიხდეს:..

ხუთი ამხანაგი, და...

მტკიცე ნება...

— ვახალოთ!

— დაგვნებდით!

— აი ჩვენი პასუხი!

— ტრა, ტა, ტა, ტა, ტა!..

უკანასკნელი ტყვია, და...

— ლეო!

შეჰკივლა ვალაცამ, რა ორ მოკლულ ამხანაგთან ერთად ლეოც დაეცა, დაჭრილი.

ლილი წითელი ჯვრით...

ჭრილობას უხვევს...

ანდრო-ღა აჩერებს, ერთი ამხანაგით, შემომტევთ.

წინაალმდეგობა ილევა...

— დროშა!

— უნდა გადავარჩინოთ!

ლილი მიაპარებს უბით..

ანდროს დაჭრილი ლეო წამოუკიდია...

ამხანაგი იფარავს დახევას...

და, იგერიებს დევნას...

ჯაშუში კი ზვერავს...

აედევნა ..

XVI

ცივა...

თოვლი ბარდნის...

დანგრეულ ქარხნის უკვამლო მილი უცხო ბედის მწერალივით გადმოიყურება, მრისხანედ...

მისი შესვენებული ბოლაზი ელის ვულკანს, რომ ადუღებული ლავა გადმოაქანდაკოს სისხლის მორევში...

ქარხნის გვერდით, პატარა ეზოს სარდაფში, ღარიბ მოსარეცხე დედაკაცთან იპოვეს თავშესაფარი ჩვენმა გმირებმა.

ლეო დააწვინეს. ლილი უვლის.

თუმცა შიმშილობაა, არაფერი იშოვება, მაგრამ დიასახლისი, მაინც გულუხვია... უმასპინძლდება რითაც შეუძლიან...

— ო, ეგ ჯალათები!

იწყევლება და უამბობს თეთრების სიმხეცეზე.

— წყ...ა...ლი...

ისმის მისუსტებული ხმა.

სისხლის დენა შესწყდა... წამოიწია.

— ო, ნუ ლეო, ნუ...

აფრთხილებს ლილი და ბალიშს უსწორებს.

ლეოს თვალები უბრწყინავს, მიუხედავად ტკივილებისა, რომელსაც ის განიცდის ჭრილობით, და, მისი ფიქრები შორს იტყორცნება...

აგონდება დედა, სიყრმე, სოფელი, გამომშვიდება ..

— გახსოვს, ლილი?..

— რაა სიცოცხლევ?..

— იქ, შორს, ჩვენი მხარე...



1) ამხ. სემაშკო. რ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი.
2) ამხ. კუჭაიძე. საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი.

XVII

და, გადიშალა ნაზი სურათები...

სოფელი მაღლობზე...

თითქოს ორბი წამომჯდარაო პიტალო კლდის მწვერვალზე—გაჰყურებს კავკასიონის ქედს...

უკან ატეხილი ტყე და წინ დაცემული მინდვრები—გადაჭიმული ნაფუზარ ხოდაბუნებით ..

ვენახები...

გვერდზე წაბლა რუ, თავისი ლოთიფოთი დენით...

რამდენადაც ლამაზი იყო სოფელი, იმდენად მწუხარება...

გლეხობის ჯაფა, შრომა, წვალება...

მემამულეთა განცხრომა...

და, ფიცი, ლეოსი, რომ როცა გაიზრდება, მხოლოდ მშრომელთა გასანთავისუფლებლად იბრძოლებს...

აღზრდა ობლობაში...

დედის ალერსი...

ბავშური ნაზი სული...

XVIII

დღეობა...

ეკლესიის გალავანში მლოცველები ..

მღვდელი, ტრაპეზში, შემოსავალს ითვლის...

დიაკვნის მსუნაგი მზერა, შორით...

აქეთ, გზის პირას, სავაჭრო ფანჩატურები, მოქეიფე ხალხი, სველი ხელადა, მცვრიანი მწვადები...

დოლ-ზურნა, საზანდარი, არღანი...

ერთი-მეორეში ირევა მათი ხმაური...

დაბიდან ამოსული მეწვრიმალეები ქიშმიშით, ალჯანაბადით, ბლითებით ..

აგერა ლატარიაც ფოჩიანი კამფეტებით...

ო, რა უხაროდა, მაშინ, ნათლიამ რომ უყიდა!..

ახალი ჩუსტები?..

იქით ლხინი ახალგაზრდობის, ცეკვა... ჭიდაობა... ჩალიჩი...

საკინძ-ჩამოწყვეტილი, ქოჩრიანი, დასანიშნი ბიჭები გოგოებს ათვალიერებენ ..

გოგოები ქალაღაიას კალთებს იფარებენ სახეზე, და ჩუმი ღიმილით ჟედვას ჰპარავენ...

მეფანდურე გოგლა კი, განაგრძობს აბრეშუმის სიმთა აკვნესებას და, დამღერის:

— ჩემო ლამაზო სოფელო,
წინ მინდორო, უკან ტყეო;
ქალებისა სათამაშო...

ვაქებისა სამოთხეო!..

ახალგაზრდობის ჯირითი, ნიშანში სროლა...

თავადის გამოჰენება და, გლეხების მოწიწებით თავის მოხრა, მიპატიჟება სუფრაზე...

გულში კი, შურისძიება...

სტუმარი კინტო თამადა ყანწს უწვდის და ბალდად გაშლილი, ხელადით თავზე, ბუქნით აშრიალებს განიერ შარვალს...

ღამის თევა...

სურათები სურათებს სცვლის...

1905 წლის ამბების გარდმოცემა: კრებები.., მესკამურეები (აგიტატორები), წითელი და შავი რაზმები, დამარცხება, ტყის ძმები...

შემდეგ?

სკოლა...

სოფლის მიტოვება...

ტოლ-მეგობრების დაშორება.

XIX

ეს იყო ადრიან დილით...

მთვარიანი ღამე ცისკარს უთმობდა გზას...

შორს ისმოდა ურმის ჭრიალი და მეურმის სევდიანი ღიღინი, კოფოზე თვლემით...

ძაღლების ყეფა...

მამლების მესამე ყივილი...

— ადე გენაცვალოს დედაი!..

ესმის მოსიყვარულე დედის ხმა.

გაღვიძება...

წყაროზე პირის დაბანა, სადაც ავაზანს მისევია ღორ-ხბო, ნახირი...

გამომშვიდება...

— ვინძლო, შვილო, კარგი გამეზარდო...

არიგებს თვალცრემლიანი დედა.

უკანასკნელი კოცნა და მიიხუტა გულზე.

ბიძას მიჰყვება ქალაქში.

აი ჩაუარა მოთავებულ კალოს, საბძლის გვერძე, შესვენებულ კევრებით.

ძნა აღარაა.

აი ვენახიც!

ისკუპა ღობეზე, და...

ჰკრებს ატამს, ვაშლს, მსხალს; ივსებს აბგას...

ვაზებზე ქარვის მძივებივით ასხმული მტევნები, ყურძენი აკიდოებად...

— რთველობამდის მაინც დავრჩენილიყავი!

ჰნატრობს ის.

დილა...

ფოთლებზე ცვარი ლეინჭილასავით ბჭყვრიალებს მთის იქიდან თვალების ფშვნეტით გადმოხედულ მზის სიცილზე...

ბუნების სურნელება ათრობს...

აგერა, მთის ფერდობზე შეფენილი ცხვარი: მადიანად შეექცევა ამცვრიანებულ ბალახს...

მხართეძოზე წამოწოლილი მწყემსი აკვნესებს სალამურს...

ლეოს გული აქ რჩება...

XX

აი სადგურიც...

რკინის გზის პირველი ნახვა...

გაკვირვება...

ორთქლმავალი ჰკივის და ნალოსავით მიათრევს ორნოდებს...

ქალაქი...

სოფელთან შედარებით უზარმაზარი და მის სიმშვიდესთან—მუდამ ჭირვეული, ახმაურებული...

სხვა სურათები, სხვა ხალხი, დიდი შენობები...

ეტლები, ტრამვაი, ავტომობილი...

ეშინიან არ დაიკარგოს...

ხარბად ათვალიერებს ყველაფერს...

ხელობაზე მიბარება...

ოსტატის სიმკაცრე, ყურის აწევა...

თავისუფალ ბუნების შვილი და დედის ალერსს შეჩვეული, ვერ უძლებს ქალაქის დედინაცვლობას...

გაქცევა მოკეთეებში...

სწავლის ნიჭი არ ასვენებს...

ვაი-ვაგლახით შესვლა სასწავლებელში...

სიტიტვლე, შიმშილი, დამცირება...

სიჭაბუკე, დავაჟკაცება...

რევოლიუციონერებთან დაახლოვება, საიდუმლო ბინა...

გაბედული სიტყვა, მუშაობა ხალხში...

ციხე, უნივერსიტეტი...

ლილისთან შეხვედრა, გაცნობა, პირველი სიყვარული...

ო, რა კარგი იყო ამ სურათების გავლება, ელვის სისწრაფით, ვით კინო-ლენტი, მისი გონების თვალწინ...

— ლილი! .

შეჰლაღადა ათრთოლებულმა და გადაეხვია...

— ფრთხილად, გენაცვალე, ჭრილობა არ შეგეხსნას...

— შენი ჭირიმე!..

ამ ორ სიტყვაზე უძვირფასესი განა კიდევ მოიპოვება სხვა რამ?!

— ო, საყვარელო დედა, ვინ იცის კიდევ გიხილავ?..

— ლეო!..

სიჩუმე...

XXI

— დედა, ვიღაცა კაცია, და ჩვენს ეზოს ზვერავს...

უთხრა მოსარეცხეს, შემოსვლისათანავე, ბავშვმა.

— რაო?!

გაიკვირვა ანდრომ.

ამხანაგი კარებში დააყენა, გაფრთხილებით, და თითონ კარში გავიდა.

— ჰმ, ჯაშუში?!

გაიფიქრა, რა შეხედა: ის საეჭვო პირი ვიღაცას თვალით ანიშნებდა ეზოზე, და იწვევდა...

რა მან გაბრუნება დააპირა, ანდრომ, მკლავურ ფანდით ყელში, გადმოათრია კედელზე, და... გაგუდა.

— სადაა დროშა? მომეცით.

სთქვა შემოსვლისათანავე ანდრომ.

ლილიმ გადასცა.

— ალბად მალე მოვლენ... აჰას მე გადავარჩენ და თქვენ კი ლეო როგორმე დამალეთ, მოუარეთ...

გავიდა.

უკვე ალყაა.

აჰყვა საწვიმე მილს... ბანზე...

შენიშნეს... დაედევნენ.. ესვრიან...

ის ბანიდან ბანზე გადარბის...

ეწევიან...

იწყება ხელჩართული ბრძოლა...

საზარელი წუთები...

ერთი ფეხის გადაცდენა, ერთი უგულებელყოფა, და... უფსკრული...

ის პირველ შეხვედრისავე მტერს ისვრის ძირს, და ქვაფენილზე ზლართანი...

უყელეს...

ხსნა არსაითაა, და მისდევს მავთულს...

ნაბრძანებია ცოცხლად დაჭერა...

მავთული იჭრება..

## XXII

— აქეთ... ნელა...

ისმის მოსარეცხის გაფრთხილება, და სანათით მიუძღვის სამზარეულოდან გაყვანილ გვირაბში.

— სად გაგიყვანს?

— მდინარის პირას...

— დაანგრიეთ! დასწვით აქაურობა!..

გასცა ბრძანება პოლკოვნიკმა, რა შენიშნა აქ მყოფთა გასხლტომა.

— ეს ვიღაა?

შესძახა ყაზახმა რა ტახტის ქვეშ შემძვრალ ბავშვის ფეხები დაინახა, რომელსაც ვერ მოესწრო ხვრელში ჩასვლა.

გამოათრია.

— ვისი ხარ, შე ძაღლის ლეკვო?

დაუღრიალეს.

— მე... მმე...

ატირდა ბავშვი.

— სად არიან, სად დაიმალენ, ა?

— მე... მმმ... არ ვიცი...

— სტყუი! მათრახი მაგას!

ბავშვი იკლაკნება...

— არც ეხლა იტყვი? დაჰკათ კიდევ!

— თქვენო აღმატებულებავ, აქ რაღაც ხვრელი უნდა იყვეს; აიქ კარია ჩასავალი, ეხლა წავაწყდი.

გამოეჭიმა ახალგაზრდა ოფიცერი და სამზარეულოსაკენ გაუძღვა.

— სად გადის ეს ხვრელი?

დაუბრიალა ბავშვს თვალები.

— არ ვიცი...

— აბა, თავი მოაგდებინეთ; არც მაშინ იტყვის?!

იელვა ხმალმა...

— მოიცადეთ. ჰა, არც ეხლა იტყვი?

ბავშვი ჩუმადაა.

— ერთი! ორი!.. თუ მესამეზეც არა სთქვა, მაშინ... სამი!..

ბავშვმა შეჰკივლა. დაეცა. თვალებს აბრიალებს. იცინის. ჭკუაზე იშლება.

— რიყეზე..

ლუღლუღებს ის.

— აა, ძლივს! მიჰყევით!..

შიში.. სიბნელე...

ძნელია ასრულება ბრძანების, მაგრამ...

მაშხალები. მისდევენ.

— შეჰკარით გასავალი!..

## XXIII

— ეხლა აჰყევით ამ მდინარეს, და, ხიდის ყურზე, ვანოს ოჯახობაა.

უთხრა მოსარეცხემ, რა გვირაბს გაიყვანა და ასწავლა ერთი მუშის ბინა.

გაქცეულებმა თავისუფლად ამოისუნთქეს...

— მშვიდობით!..

მაგრამ ყაზახთა ათეული ცხენოსანი მიიჭრა.

სცადეს უკან შებრუნება, გვირაბში.

იქიდან ხიშტები, ხმლები, რევოლვერები, ჯალათი სახეები მდევართა...

ტყვეობა...

თეთრების შტაბი...

— ეს ორი სარჩობელაზე!

უბრძანა პოლკოვნიკმა და მიუთითა ლეოზე და ამხანაგზე, რომელსაც დასუსტებული ლეო ეჭირა.

მოსარეცხე ჯარისკაცებს გადაეცა...

— მეც მაგათი ამხანაგი ვარ!

განაცხადა ლილიმ და გადავიდა დასასჯელებთან.

— ო, არა. თქვენ საჭირო ხართ..

უთხრა პოლკოვნიკმა, მსუნაგი ღიმილით, და ულვაშების გრეხით; აქეთ გამოათრია.

წინაალმდეგობა...

გამოჩნდა სარჩობელები, ქუჩებზე, სადაც რამოდენიმე მეამბოხე ეკიდა...

მოჰყავთ ორი ამხანაგი...

ჯალათი ყულფს ამზადებს...

შტაბში კი ლილი ებრძვის მხეცს, არ ნებდება...

და...

შემოგრიალდა წითელი კავალერია...

თეთრების ბანაკი შეტრიალდა...

გარბიან...

ხსნა...

## XXIV

— მე, მაშინ, მავთულს, რომ გავყევი—სთქვა ანდრომ, რა მასთან ერთად ლეომ და ლილიმ გაიხსენეს ეს ოგონებანი—ტყვია წვიმასავით მოდის... თითქოს განგებარა მხვდება..

— ალბად ის ნაწილი თუ იყო ჯარისკაცებისა, თეთრებს ძალად რომ გამოჰყავდათ ხოლმე ჩვენს წინააღმდეგ. ისინი არ გვესროდენ, რისთვისაც ბევრი დასაჯეს..

სთქვა ლეომ.

— ვხედავ, ზემოდან, ქუჩის ბოლოს—განავრძო ანდრომ—ყაზახ გუშაგს ჩასძინებია... ცხენი კი იქვე ფრუტუნებს, ზანტად... ამ დროს მავთულიც გამიწყდა, თუ გადამიჭრეს და, პირდაპირ ზედ დავეშვი..

გავაჭენე...

მივქრი...

უკან-კი გამოღვიძებულ ყაზახის ტყვია მომდევს, ზუზუნით...

დამედევნენ, მაგრამ, ჩვენები მოაჭენებენ...

შევუერთდი, ვუამბე ყველაფერი...

მტრებმა პირი იბრუნეს, და.. აკი სწორედ იმ დროს მოგისწარით, ჯალათი ყულფს რომ გაცმევდათ ყელზე..

ლილი კი ფანჯრიდან გვიხმობდა საშველად...

— ჰმ... ეს ხომ ის პოლკოვნიკია?..

გაიფიქრა ლილიმ და ზიზღით გააყოლა თვალი, პოლკოვნიკს, რომელიც კიბეზე ჩადიოდა, კაიუტაში...

## XXV

— რაა, ელდერ, შეგიყვარდა?

შეეკითხა ჩერქეზი, ალერსით, რა განმარტოებულად მდგომ შეილს მიუახლოვდა, რომელიც თვალს არ აშორებდა ლილის...

— აჰ, მამა! შენა!?.

შეკრთა და თავი დაჰხარა.

მამას გულმა შემოჰკვნესა.

იგი ხედავდა შვილის დამწუხრებას და არ იცოდა რა ექნა.

— არ ვიცი, მამაჩემო, რა მემართება...

მამამ მოჰხვია ხელი და გაატარა. სცადა სხვა საგანზე საუბრის ჩამოგდებით გართობა მისი: დაუწყო წინაპრების თავდადებულ ეპიზოდების გავლება და მრავალ ლეგენდების თქმა, რომელიც საშვილიშვილო გადმოცემად მოსდევდა, მაგრამ, ელდერის გული ღრმად აღმოჩნდა მიჯაჭული ლილიზე...

— არა, შვილო, ნუ...

— რა ვქნა?

— მაგაზე უკეთეს ქალებს შეხვდები ჩვენს მთის კალთებზე...

— არ მინდა!..

— ხომ ჰხედავ, რომ იგი სხვას ეკუთვნის?

— ჰო, მაგრამ...

— მაგრამ... რაა?

— ისა, რომ... მამა, მამა! განა მე დამნაშავე ვარ' რომ... განა სიყვარული ჩემი მოგონილია?! მე თითონაც არ ვიცი, თუ როგორ მოხდა ეს... ერთი მისი ნახვა, და...

— მე შენ ველარა გცნობ, შვილო...

სიჩუმე...

მამის დანაღვლიანება შვილის წუხილით...

იგი კარგად იცნობდა შვილის ჯიუტობას; ის ჰხედავდა, რომ შვილს მართლაც ისე შეყვარებია ლილი, როგორც შეუძლიან შეყვარება მთიულს, ელდერის ჰასაკში.

და, გაახსენდა თავისი წარსული, ახალგაზრდობა.

ფიქრებმა სძლიეს ..



საერთო შეხედულება კურორტ წყალტუბოზე.

თვალწინ წარმოუდგა თავისი საყვარელი გულჯავარ, რომლის გამოდაც შეეცილა ვეჟენოელ ანზორს, რისთვისაც მათ შორის ჩამოვარდა შუღლი, სისხლის აღება...

აკი მაშინ ამასაც ასევე აფრთხილებდა მამა...

რა ტკბილი იყო და თანაც სამწუხარო ეს ლამაზი მოგონება!..

XXVI

ჯირითი საჩეჩნეთის ტრიალ ტრამალზე...

და, გულჯავარის გამოტაცება, ცხენზე... დევნა.. სროლა... გზის აბნევა..

გაახსენდა, აგრეთვე, ის შავბნელი დამე, როდესაც, დერეფანში, გულჯავარს ეჭირა ხელში პაწია ელდერი და ათამაშებდა...

ომარი კი შეჰხაროდა... ბედნიერი იყო...

ამ დროს, საიდგანღაც იქუხა ანზორას თოფმა და, ომარზე ჩამოსხმული ტყვია, გულჯავარს მოხვდა...

დაბნელდა ომარისათვის ყველაფერი, ამ ქვეყნად, მაგრამ ელდერით ინუგეშებდა თავს.

ეხლა კი, რა გაახსენდა ყველა ეს, პირველად თავის სიცოცხლეში ეხლა შეეპარა შიში...

მას ეშინოდა შვილზეც არ განმეორებულიყო მამის ამბავი...

ტკბილია სიყვარული, მაგრამ თანა სდევს მწუხარებაც...

იგი მ შინ ხომ შემთხვევით გადურჩა ანზორას ჯერ ხანჯალს და შემდეგ ტყვიას, მაგრამ დაჰკარგა უძვირფასესი ქალი; თუმცა ის პირველად ანზორს ეკუთვნოდა...

მაგრამ, რას დაგიდევდა ომარი!

შეყვარებული ხომ ბრმაა, ხშირად...

შემდეგ?

შურისძიება...

სისხლის აღება...

ჩაჰკიდა თავი.

XXVII

ბინდმა მხრები შეათამაშა წამწამ ლელიან მაყვალა თვალებში...

ლილი, ლეოსთან გავლით, გაუსწორდა ელდერს და გაუღიმა.

ელდერს თავსბრუ დაეხვა და, ვით მზის ცხოველი კოცნით კინწ-მოწყვეტილია, თავი დაჰხარა...

ეს არ გამოეპარა ლილის...

ნაზიკს უკლო...

იზორძიკა..

— რა ხდება ჩემს თავს?..

გაიფიქრა მან და კიდევ შეხედა ელდერს, რომელიც ისე უყურებდა მას და ითხოვდა შებრალებას, უხმოდ, თითქოს დასაკლავი კრავია და ყელში მობჯენილ დანას უკანასკნელად შეჰყურებსო, და სთხოვს სიცოცხლეს...

— ო, რომ იცოდე, თუ რას არ ჩავიდენ ერთის შენი ბრძანებით! ო, როგორ მიყვარხარ!..

ამბობდა იგი, თავისად, და, ლილის შეხედვით გაასკეცებული, მხად იყო ქვეყანას შებმოდა.

ლილიმ თითქოს იგრძნო ეს ყველაფერი, და, ლამაზი ქალის მორცხვმა სიამაყემ გაინავარდა...

— შვილო, შენ ეთამაშები სახიფათო ცეცხლს... უფრთხილდი: გული არ ავილანძოს...

— დე, დამწვას! მამა, უმაგისოდ სიცოცხლე მაინც აღარად მიღირს...

ო, ლილი, ლილი!..

რა ნეტარია პირველი გატაცება...

— და, მერე... ლეო?..

ფიქრობს ლილი.

XXVIII

ქარმა ფრთები შეიბერტყა არენაზე გამოსვლად, და ბურუსის ლეგა კალთებს გიშერა არშია აევლო...

ზღვა შეტორტმანდა...

ასაღრიალებლად მოიმარჯვა ქამანჩა...

დაიწყო ლოთი ქირვეულობა...

მისი გულიდან მოისმოდა ოხვრა და რაღაც ყრუ გუგუნი, რომელიც ალბად ჰლამობდა დაგუბებულ ბოღმის გადმონთხევას...

— ეს ქარი წინამორბედი ხომ არაა ციკლონის?

ეკითხება ლილი ლეოს, და ქურდულად ჰპარავს ელდერს, მზერას...

— ნუ გეშინიან, სულიკო!..

ანუგეშებს ლეო.

აცივდა...

— მგზავრები ძირს, კაიუტებში!

გასცა ბრძანება ხომალდის უფროსმა, რომლის ანაცრისფერებული სახე კარგს არრას მოასწავებდა, ამ გამოცდილ მეხომალდის დაფიქრებით...

დაფაცურდენ მეზღვაურები...

ყველა თავის ალაგის გაჩნდა, მოვალეობის აღსასრულებლად.

წვიმა სცრის...

ხომალდმა სიარულს უკლო...

აკვანივით ირწევა...

საერთო შიშიანობა...

შიშს დიდი და საზარელი თვალები აქვს!..

იგი სულ ახლო და ახლო დანავარდობს...

სიჩუმე...

ყველა რაღაცას ელის...

თავის კაიუტებს მიაშურეს...

ზღვაზე სიარულში გამოუცადნი სულგანაბული არიან.

ზოგი მორწმუნე პირჯვარს ისახავს და საშველად ღმერთს იხმობს, სასოებით...

— ჰო, ეხლა თქვენთვისა სცალიან მას! ის დედამიწიდან, ურწმუნო კომუნარების შეტევას იგერიებს!, ანგელოსთა რაზმით...

წაეხუმრა მუშა.

ზოგი მგზავრი სიცილს ვერ იჭერს და სცდილობს რითიმე გაართოს თანამგზავრი.

ქალი კბილებ დაკრეჭილი სიკვდილის ლანდი ხარხარისთვის ემზადება და იქნევს ცელს...

ხომალდი ფრთხილად იკვლევს გზას..

ირსად კუნძული მაინც, რომ ლუზა ჩაუშვას...

XXIX

— შეიძლება თქვენთან?

ითხოვა ომარმა, რა საერთო კაიუტას მიადგა და შეხედა მუშას და ლეოს, რომლებიც რაღაცაზე ლაპარაკობდენ.

— სიამოვნებით, მობრძანდით.

იყო საერთო პალუბი. შეიწვიეს.

აქ იყვნენ მოხევე და ელდერიც.

— თქვენთან უფრო გვირჩევნიან, მხიარულად ვიმგზავრეთ ჩვენებურებთან.

დაუმატა ღიმილით, მოხევემ.

გაიბა საუბარი.

— მოდი და იქნება ვინმემ ანეგდოტი იცის, ანუ სხვა რამე გასართობი; ნუ დაიზარებს და გვიამბოს.

წამოიძახა ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც ერთ კარგა ჩასუქებულ მძინარე მგზავრს არ უსვენებდა: ხან ცხვირში ჩ ლას ატაკებდა, ხან სახეზე უსვამდა, ხან ფეხებს შეუკრავდა ..

ის-კი ხვრინავდა და ძლივს იძვროდა; აცემინებდა ცხვირს, ხელებს იქნევდა,—თითქოს ბუზებს იგერიებსო, და ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა და ხან მეორეზე, ბუზღუნით, გინებით...

— გააღვიძე ეგ საზიზღარი ბურჟუა და ეგვე გიამბობს, კარგ ამბებს, თუ როგორ აძრობდა ტყავს მუშებს.

ჩაერია ჩვენი ნაცნობი მუშა.

— ერთი ამას შეხედეთ, და! ღვინის რუმბია?!

სთქვა იმავე ახალგაზრდამ და ფეხი ამოჰკრა...

შეშინებულ მგზავრებს ნაძალადევი ღიმილი დაეტყოთ.

— მაშინ ასეთ საერთო კაიუტაში კი არ იკადრებდა მგზავრობას.

დაუმატა მანვე.

— ანეგდოტები კი ვიცი, მაგრამ... ისეთი სიტყვებითაა შეზავებული, რომ ამ მანდილოსნებში უხერხულია თქმა.

გადმოსძახა ზემო საწოლიდან, ხომალდის რწევით და ხმამაღალი ლაპარაკით გამოღვიძებულმა „ზღვის ტურა“ მ.

ასე ეძახდა მისი ამხანაგი, რომელმაც პირზე ხელი მიაფარა.

— არ გაბედო თქმა, თორემ, მე რომ შენი ამბავი ვიცი, აქ აღარავის დაედგომება.

— არა უშავს-რა, შვილო, სთქვას...

ჩაერია ვიღაცა დედაკაცი, რომელიც კუთხეში მომჯდარიყო და ამთქნარებდა...

— დედა, სუ!

გააფრთხილა ქალმა.

XXX

„ზღვის ტურა“ იყო ხნიერი მეზღვაური, ცალი ხის ფეხით...

ის აჯანყებულ „პოტიომკინზე“ იყო ნამსახური და ანეგდოტის მაგიერ მოჰყვა ლამაზ ეპიზოდებს იმ გაბედულ

კრეისერის ურჩ ბრძოლიდან, რომელმაც პირველმა გაბედა, შავზღვაზე, წითელი დროშის აფრიალება...

ფეხი სამოქალაქო ომში დაზიანებოდა.

— სმენა! ეშმაკებმა წაგიღოთ!..

შეჰყვირა, შემოსვლისათანავე, ჩვენმა ნაცნობმა პოლკოვნიკმა, რომელიც საიდგანღაც გაჩნდა, არყის ბოთლით ხელში.

ფეხზე ძლივს დგებოდა.

— აი კიდევ ერთი „ყოფილი კაცი!"

მიაძახა „ზღვის ტურა"-მ, რომელსაც, იმის შემოსვლით, უკმაყოფილება დაეტყო, რადგანაც სწორედ შუაზე შეაწყვეტინა მოთხრობა.

ასტყდა სიცილი...

— მმ... მმე.., იცით ვინა ვარ?.. თქვენ უწინ ეგრე ვერ გამიბედავდით...

ლუღლუღებდა ნაგრაფალი...

— შენ გამობრუჟულხარ არყით და ფეხებზე გკიდია ყველაფერი... მომეცი აქ! შენ წინადაც გეყო!..

მიუახლოვდა კოჭლობით, გამოსტაცა ბოთლი, ჰკრა ხისფეხი და გადააყირავა ბურჟუაზე.

— მიეგდე შენც მაგ ნაგავთან!..

თვით მოიყუდა არაყი.

ნაგრაფალი ისე მაგრა მიეხეთქა ხომალდის კედელს და დაეცა მძინარეზე, რომ უხერხულად აპლაკა ფეხები, რის გამოდაც ქალებმა ხელი აიფარეს სახეზე...

„ბურჟუა" წამოდგა ხვნეშით და შეშინებულ კატასავით დაიწყო თვალების ჭყეტა...

— აჰ, მე მეგონა ყუმბარა მესროლეს და მთელი აფეთქებული ქვეყანა მე დამეცა-მეთქი.

ჩაილაპარაკა ხრინწიანი ხმით.



ახტალა. ტალახის აუზები.

— ამ საცოდავს ყველგან ყუმბარა და აფეთქება ელანდება?

არ უსვენებდა ახალგაზრდა.

„გრაფი" წამოჯდა, ბუზღუნით, და შეხედა „ბურჟუას".

— მაქვს პატივი გაგეცნოთ: გრრრააბფ...

და ხელი გაუწოდა.

— დიდათ სასიამოვნოა!

წამოიძახა, გახარებულმა ნაბურჟუალმა, და ორივე ხელი ჩამოართვა.

— მღვდელი-ღა აკლიათ, თორემ ნამდვილი „წმიდა სამება" იქნებოდა.

რა ბოთლი გამოცალა და შეხედა, ამათ, სთქვა „ზღვის ტურამ".

ასტყდა დაუსრულებელი ხარხარი.

## XXXI

— ამხანაგებო, დაიცავით წესიერება!

განაცხადა, შემოსვლისთანავე, მატროსმა — კომისარმა, რომელმაც მანქანაზე დაბეჭდილი ახალი რადიო-დეპეშები შემოიტანა და გააკრა.

კარი გაიხურა.

თუმცა, ატმოსფერულ მიზეზებისა გამოდ, ბევრს ალაგას დამახინჯებული იყო, მაგრამ გარჩევა მაინც შეიძლებოდა.

— კიდევ ერთი გამარჯვება!

წამოიძახა ანდრომ, ალტაცებით, რა ფურცელი ჩაათვალიერა.

— შორეულ აღმოსავლეთშიც აფრიალდა წითელი დროშა!

— კიდევ?

— ევროპა ზანზარებს წითელი საფრთხის შიშით... მზადება ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისათვის... აღმოსავლეთის ერების აჯანყება დამპყრობელთა წინააღმდეგ... ყველგან საყვარელი წითელი დროშის ყივილი... თავისუფლება...

— დაიგრიხებიან საუკუნეები და ლეგენდები აიტეხება წითელ დროშაზე!..

წარმოსთქვა ლეომ.

— წითელი დროშა!.. სიმბოლო ბრძოლისა და თავისუფლების!

ო, რამდენი სისხლი დაიღვარა, რათა ძირს არ დაშვებულიყოს ის, და რამდენი დაიღვრება კიდევ!..

დაუმატა მუშამ.

— მართალია, მართალი!

დაეთანხმა ომარი და ჩიბუხი გადმოიბერტყა მესტის ქვინტზე.

— და ლეგენდა კი ასე დაიწყობა...

განაგრძო ლეომ...

XXXII

— რადა ხართ მოწყენილი?

შეეკითხა ლილი, რა მიუახლოვდა განმარტოებით მყოფ ელდერს, როცა შეამჩნია ლეო გაერთო ლეგენდით, და ჩვეულებრივის სინაზით გაუღიმა.

— არაფერი, ისე...

ღიმილითვე მიუგო ელდერმა.

უნდოდა კიდევ რაღაცის თქმა, მაგრამ... ენა დაება, აკანკალდა. .

— ხომ არ გაციებთ? მთის სალ ჰავას შეჩვეული ზღვას აქ ბად ვერ უძლებთ.

— ო, არა .. ისე...

— არა მჯერა ..

— ელდერ მოკვდეს, უმალ ტყუილის თქმამდე!

— ელდერ? ო, რა კარგი სახელია!..

— მაგრამ, ლილი სჩრდილავს მ ს ..

დაუჭირა ორივე ხელი და მიანათა ელვარე თვალები.

სიჩუმე...

ლილი აცახცახდა...

დუმილი ამბობდა დაუსრულებელ არაკს...

— აზია იძარცვება, როგორც ქონებრივად, ისე კულტურით, სილამაზით...

და ევროპა? ევროპა მიქარვაა... ბებერი. . გაუტანელი... ის ყველაფერში აზიით იკვებება... აზია მარადიული ახალგაზრდაა... ის კიდევ იტყვის თავის სიტყვას...

ისმოდა მეორე კუთხიდან, სადაც რამოდენიმე მგზავრს გაება ლაპარაკი პოლიტიკურ ტემაზე და ერთი მათგანი უმტკიცებდა ევროპის დაღუპვის მოახლოვებას...

XXXIII

—...როგორც გითხარით, ის ოდესღაც თეთრი ყოფილა, თეთრი გაოფლიანებული პერანგი მუშის...—მოუთხრობდა ლეო—და, უთვალავ საუკუნეთა ურაგანზე ავარდნილ აჯანყებებში გაწითლებულა...

ეს იყო მაშინ, დროთა ვითარების განმავლობაში, მეფე—ბურჟუაზიაზე და არისტოკრატიაზე დაყრდნობილი, სამღვდელოების ლოცვა კურთხევით, სჭედავდა მშრომელი ხალხის ჯვარცმას...

მარადი ტანჯვა. წამება. გახურებული შანთები. ბორკილი. უღელი. მათრახი. ციხე კატორღა. სარჩობელა. დახვრეტა. კოცონზე დაწვა... სისხლის შადრევანები სჩქეფდენ, დაუშრეტელად, დაჭრილი გულით, ცის ხეივანზე ატყორცნით ევლებოდენ, ზოლად, ცისარტყელას, რომელსაც ელვის ენები აბამდა ხსნის სიტყვას:

— „აჯანყება!“

და შეინძრა ურჩი ლაშქარი...

მოთმინების ფიალა ალივსო და გაისმა:

— „შეიარაღდით!“

ბორკილებმა იწყეს ლეწვა...

აღუვსებელი აუზი გადმოდინდა..

სისხლის ოკეანეებმა იქუხეს...

ილუპებოდა თავდადებულთა უკანასკნელი გმირიც...

ამან ალანთო მონათა რაზმში ბრძოლის ცეცხლი და შემოკრბენ ოკეანის ნაპირზე..

სწორედ იმ დროს, როდესაც გმირი მუშა უკანასკნელად ამოტივტივდა წითელ ტალღებზე, ძალმილეული,—გადაეშვენ ეს რაზმები და გამოიყვანეს...

გახადეს სისხლიანი პერანგი, ასჭრეს უამრავ ძმათა სასაფლაოზე ობლად ამოსული შურისძიების ლერწამი და, ზედ ააფრიალეს დროშად... მისცეს ხელში, წინამძღოლად არჩეულ იმავე მუშას, და უკვდავ ყიჟინით შეჰფიცეს:

მანამდე არ დაუშვებენ ძირს, ვიდრე სანატრელ ბრძოლებში, ატლას ლოყება მზე არ გადმოაფენს აბრეშუმის თმებს და მარჯნის ტუჩებით ისე ცხოვლად არ დაჰკოცნის, გამარჯვებათა ჰიმნში, რომ ისევ გათეთრდეს და დაესოს აყირავებულ ძველ მსოფლიოს ნანგრევებზე აღმართულ შრომის მეუფების, დიადი კომუნის ბასტიონზე!..

XXXIV

დაიწყო შეტევა. .

ღელავს არენა...

და წითელი დროშის რაინდები მტრებს იწვევენ შერკინებად...

მაღლა ფრიალებს დროშა, ანცად, ამაყ სიმღერით...

მოაქვთ დაკოჟრილ ხელებს, და...

ტყვიით დაფლეთილ კალთებს იბერტყავს გიჟ ურაგანზე...

ელვიან ვნებით მოექანება თავხედ ქუჩებზე, და...

თავისუფლების მარშით ამშვენებს საუკუნეთა ატეხილ ძიებას!.., ბარიკადებზე...

ზევრჯერ ეხრება ძირს, ტარგადამტვრეული, უამრავ მტერთა ურდოებთან ბრძოლით დაღლილი, მაგრამ, მისი არშიყი გმირები იგლეჯენ გულს, ამთელებენ ტარს, ზედ შემოხვევით, და იმ დროს ააფრიალებენ, კვლავ, ზევით, როდესაც მტრები ემზადებიან მის ფეხქვეშ გასათელად, ზეიმით...

დაუღალავი ქენება მისი...

დამარცხება არა სწამს, და...

მალე ვნახავთ, მთელს მსოფლიოს გულზე ისწორებდეს კალთებს...

ახლოა საბოლოო თქმა...

აი თითქოს უკვე მოსჩანს უსაზღვრო სამყაროს ძიებაში მისი, გირლიანდებით მორთული, ტრიუმფალური არკა, რომლის თავზეც ელავს ხუთქიმა ვარსკვლავი, ჩაქუჩ ნამგლის გვირგვინში და ცხალბუნება წითელფუნჯა დროშის ანთება!.

დაათავა ლეომ, აღტაცებით.

XXXV

— ო, რა მოუხდება კავკასიონზე მისი აფრიალება!.. არა, მამა?..

— ჰო, შვილო! ჩვენი ხსნა მხოლოდ ამაშია...

დაატანა ომარმა, რა შვილის აღფრთოვანება დაინახა.

— თქვენ რას იტყვით, ლილი? .

ახლა მას მიუბრუნდა და მოიბოდიშა, სახელის ასე დაძახებაზე, უბრალოდ, თუმცა უკვე კარგად გაეცვნენ ერთმანეთს და ხუმრობაც კი დაიწყეს...

— მე?

და შესცინა ლილიმ.

— თქვენი ერთი შემოხედვა, ერთი სიტყვა და ელდერი ქვეყანას შეებმის!..

ამ სიტყვებში იყო ფოლადის ნება, მთის სიმტკიცე, შეუბღალავი ღირსება...

ლილიმ რა დააპირა პასუხი:

— ლილი, სიცოცხლევ, რატომ არ დაწვები? დაღლილი ხარ და მოსვენება სჯობიან...

მოესმა ლეოს ხმა...

მიახლოვება...

ალერსი...

პაუზა...

— ო, რომ იცოდე, ლეო, რა კარგ ამბებს მოჰყვა ელდერი, თავის თავგადასავალიდან: ციმბირს გადასახლება, წითელ პარტიზანებში ბრძოლა თეთრების წინააღმდეგ, ბავშობა, მთის ლეგენდები... აღარც კი მეძინება...

უთხრა ლილიმ და კისერზე შემოევლო...

ელდერი კი...

— რუსეთში მყოფი ქართველობა და საზოგადოთ, კავკასიელნი რასაკვირველია ამ მოძრაობას უნდა მიმხრობოდენ...

ჩაილაპარაკა ლეომ...

— ტრრრრახ!!!

გაისმა საშინელი აფეთქება.

ხომალდი მძლავრად დაიქნია.

მოსაუბრენი ერთიმეორეს ააგორა.

ლილი ორთაშუა მოხვდა და ორივეს ჩასჭიდა ხელი...

— რა მოხდა?...

გაისმა შეშინებული შეკითხვა.

სიჩუმე...



წყალტუბო. გადაუხურავი აბაზანა საიდანაც ტალახს იღებენ.

XXXVI

ხომალდი აყირავდა...

შენგრეული გვერდით იქუხა წყალმა და შხუილით გადმოეშვა...

ხმაურობა, გრიალი, კივილი...

აუწერელი სურათი...

აფორიაქდა ყველაფერი...

საყვირმა ასტეხა ამაზრზენი ძახილი, ნიშნად უბედურების...

ითხოვდა შველას...

ვინც მოასწრო ზევით აირბიან...

გულწასული ლილი მიჰყავდა ლეოს.

ელდერის თვალები ისე აეკინძა მას, რომ ველარც კი გრძნობდა მუხლამდის წყალში დგომას...

— ჩვენ ორში ერთი მეტია!..

ფიქრობდა ელდერი.

— მაგრამ, რად რისთვის?..

უპასუხებდა იდუმალი ხმა...

XXXVII

— ვისაც შეგიძლიანთ: თავს უშველეთ!..

გაისმა ხომალდის უფროსის აკანკალებული, მაგრამ მტკიცე თქმა.

ეკიპაჟმა ნავები ჩაუშვა.

— პირველად ბავშვები, ქალები და მოხუცები!..

დაუმატა კომისარმა.

შეშლილი სახეები...

საგიჟეთს დაემზგავსა აქაურობა...

რადიო განუწყვეტლად მუშაობს და, ყოველმხრივ ითხოვს დახმარებას...

ხომალდს ცეცხლი ეკიდება, რა მცურავ ნაღმს წააწყდა და აფეთქდა.

პროჟექტორის სინათლეზე იტვირთებიან ნავები...

ზოგი მგზავრი ბრძანებას არ ემორჩილება...

ყველა ცდილობს სხვას დაასწროს სიცოცხლის ძიებაში...

— დაიცავით წესიერება!..

შეჰყვირა კომისარმა და ხელში რევოლვერი აათამაშა.

ასეთ დროს საჭიროა ხოლმე ეს ხერხიც...

თმა ყალყზე დგება...

დაჭყეტილი თვალები უაზროდ ბრიალებენ...

არეულობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იყავით ნამდვილი გმირი მოქალაქენი! უშიშრად შეხვდით სიკვდილს!..

ჰკივის უფროსი.

ნავები სცდილობენ მალე განშორდენ კატასტროფის ადგილს,—რადგანაც, რა ხომალდი ჩაძირვას იწყებს და შემდეგ, რა უკვე დაიმალება, ზღვა ახლომახლო საშინელის სიმძლავრით შეიბერტყს ტალღებს, და, ნავი ვერ დაუმაგრდება...

ქარი ღრიალებს...

ზღვა ცოფებსა ჰყრის...

დაიფანტენ ჩვენი ნაცნობი მგზავრები...

ყველა წუთებს ითვლის...

უკუღმა და უსამარეო ლანდები...

XXXVIII

— აბა, ერთი ისკუპე!

მიუბრუნდა „ზღვის ტურა“ ნაბურეუალს და შეჰყვირა, მოაჯირთან.

ის იქ თუ ძლივს ქშინავდა, კაიუტაში, ეხლა სიმარდეში ვერავინ სჯობნიდა, ისე დარბოდა...

— მომეცით ადგილი ნავში, ნუ ინებებთ ჩემს დალუპვას!..

ემუდარებოდა ის ყველას და დასტა ფულებს სთავაზობდა ვინც დაუთმობდა ადგილს.

— ოი, შენი!..—შეჰყვირა ცალფეხამ, მუშტის მოღერებით,—ეხლა მაგ ფულებს არავითარი ძალა არა აქვს, აქ ფულიანი და უფულო თანასწორები ვართ. ქვით!..

რატომ მაშინ არ იყავი ეგეთი გულუხვი, როდესაც მუშებს ტყავს აძრობდი, რაღაც გროშებს აძლევდი, და, შენკი სივდებოდი. . ანუ მაშინ სად იყავი მაგ ფულებით, როდესაც ჩვენს ქვეყანაში შიმშილი დაძრწოდა და შეშლილი დედები თავიანთ პირმშო შვილებს სჭამდენ?! ეხლა განა! მაგ აყროლებულ ლეშის გადასარჩენად?! მაშინ კი თეთრგვარდიელებს ეხმარებოდი!..

გამოსტაცა ფულები და სახეში სტკიცა, მიახალა...

— აბა, ისკუპე მეთქი! გადაყურყუმელავდი!.

შეუტია კვლავ და მიაზილა ხის ფეხი.

სანავთიკო ტიკისავით გადაეშვა „ყოფილი კაცი“, და ზღვაში ტყლაშანი გაადინა...

რა შეამჩნია „ზღვის ტურამ“, რომ ნავები არა ჰყოფნის ყველას, აღარც რგოლები იყო და პრობკის პერანგები, გადაეშვა...

გადაჰყვენ სხვებიც...

ებრძვიან გამძვინვარებულ ტალღებს...

მიდიან ცურვით...

მაგრამ. .

საით?..

XXXIX

— ამხანაგო უფროსო, თქვენ?

შეეკითხა კომისარი, რა შეხედა ის არ იძვროდა ადგილიდან.

— მე დავრჩები, ბოლომდის, ჩემს სადარაჯოზე!..

— ამხანაგო უფროსო ..

— სადაც ჩემი ხომალდი, იქაც მე!.. მხოლოდ, გარდაეცით იქ, რომ.. მე დავეცი, როგორც პატიოსანი ჯარისკაცი.. და თუ ჩემი ცოლ-შვილი ნახოთ, უთხარით, რომ...

აღარ დაათავა, თავი ჩაჰკიდა, და ხელი გაუწოდა კომისარს.

რაღაც გადასცა...

— მშვიდობით!..

ეს-ღა სთქვა.

კომისარს გული აუჩქროლდა, გადაეხვია და გადაჰკოცნა...

მისი თვალები უნებლიეთ აიზიდენ ზევით, და შეამჩნია, ანძაზე, დროშა, რომელსაც ქარი აღიზიანებდა...

იგი ებრძოდა...

— დროშა?!.

— ამხანაგო, კომისარო, იგი უნდა გადავარჩინოთ!

— აგრე!

ამ სიტყვების თქმა იყო და რა დააპირა ჩამოეშვა დროშა, თითქოს ეშმაკიაო, საიდგანღაც ამოძვრა ელდერი, ბავშვით ხელში; ალბათ ამ სიტყვებს ყური მოჰკრა და ბავშვი კომისარს მიაჩეჩა:

— ეს ბავშვი გადაარჩინეთ. იქ, ქვევით ქალია დამხრჩვალი, რომელსაც გამოვგლიჯე ეს. დროშაზე მე ვიზრუნებ.

ბავშვი სტიროდა...

უდედობა...

ელდერი თვალის, დახამხამებაზე, კენწეროზე მოექცა ანძას, ციყვივით, შემოხსნა დროშა და დაეშვა ძირს.

გადაიჭირა მხარიღლივ ..

უფროსი გამოემშვიდობა დროშას, ამბორით...

— მალე, ნავი გელით...

ამბობდა უკანასკნელი ბრძანება მისი...

ელდერი სადღაც გაჰქრა...

XL

ზღვა ხომალდის ბაქანზე ბუქნავდა...

ღელვა არ სცხრება. .

ნავებს მაღლა ისვრის და ჟონგლიორივით ათამაშებს..

მრავალი გადაბრუნდა...

ზოგი კონცხზე დაიმსხვრა...

დაუსრულებელი კივილი...

სადღაც, შორს, სიბნელეში ისმის მუდარა...

მილეული ხმა:

— მიიიშვე . . . ლე . . . თ...

— სად მოფოფხავ აქ, მეტი აღარაა ადგილი!

უყვირის მეზღვაური ვიღაცას, რომელსაც ზღვიდან თავი ამოუყვია და სიკვდილის უკანასკნელ წუთებში ნავს ებღაუჭება ..

— ამოიყვანე!..

უყვირის ამ სურათით შეწუხებული კომისარი და რევოლვერს უღერებს.

— ამხანაგო კომისარო, არ დაგავიწყდეთ, რომ ამ დროს ჩვენ ერთი უფლებისანი ვართ!

მიუგო მეორე მეზღვაურმა და მის რევოლვერის ტუჩს თავისი შეაგება...

მწარე წუთი...

— მიშველეთ!..

ისმის კვლავ, მაგრამ მოქნეული ნიჩაბი აყუჩებს...

ზღვა ილრინება...

XLI

— ნავი იძირება!.. ერთი მეტია!..

ისმის ახლა სხვა მხარეს, მეზღვაურისვე ხმა, რომელიც მძლავრად უსვამს ნიჩბებს და ებრძვის დაუნდობ ტალღებს...

ნავი იზნიქება...

გაურკვევი სიჩუმე...

სიკვდილის შიში...

საჭიროა მსხვერპლი...

თვითშეწირულობა?..

ყველა გაინაბა...

— მალე, თორემ...

ისმის იგივე ხმა.

— იყავით ნამდვილი გმირი-მოქალაქენი! უშიშრად შეხვდით სიკვდილს...

დასწივლა ვილაცას ყურში, კვლავ, თავის მოვალეობის საგუშაგოზე დალუპულ ხომალდის უფროსის მიერ თქმულმა სიტყვებმა...

ეს გახსენება, და...

სიბნელეში ალიმართა გაბედული ალალმა... ფიგურა...

ჭაბუკი პროფილი...

ერთი უკანასკნელი გადახედვა ქალს, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ მოუთხრობდა მომავალ ბედნიერებაზე და, ეხლა იგრძნო, მხოლოდ, რომ ირეკება სამრეკლოზე, გლოვის ზარი, სწორედ იმ დროს, როცა უკვე ადიოდა ბედნიერების მწვერვალზე...

— ლეო!!!

შეჰკივლა ქალმა, რა განზრახვას მიუხვდა..

— მაშინ, მეც შენთან!..

აიწია ლილი...

— შეჩერდით!!!

გაინავარდა ვილაცის გაბედულმა სიტყვამ და ხელი მაგრა ჩასჭიდა ლეოს მაჯაზე, რა მან აიწია უკვე გადასავარდნად...

— თქვენ გიყვართ ერთმანეთი... უნდა იცოცხლოთ... ბედნიერება ყველას ხვედრი არ ყოფილა...

გაისმა იგივე ხმა, ნელა..



კურორტ წყალტუბოს მუშა მოსამსახურეთა შემადგენლობა.

— თუმცა მეცა მქონდა აზრი უფლება...

წარმოსთქვა უფრო დაბალის ხმით, გულდაწყვეტილმა, გადახედა, მწუხარეთ, ლილის, შემოიხსნა დროშა და გადასცა ლეოს.

— იქ კავკასიონის ამაყ ქედზე.. წითელი დროშის ლეგენდა...

ითქვა მის მიერ, უკანასკნელად, და იელვა ხანჯალმა.

— ელდერ!!!

იკივლა ლილიმ, განწირული ხმით და გადაიწია...

ლეო გაფითრდა...

შეაჩერა...

— ლილი!..

მოისმა ზღვის უბიდან...

— ლეო, გამიშვი... მე იგი, მიყ...

გაისმა ქვითინი...

ლეო მოწყვეტილი დაეშვა...

თვალთ დაუბნელდა...

თითქოს რაღაცა სიმძიმე დაარტყეს თავზე...

გული გაიპო...

გაქვავდა .

ხმას ველარ იღებს...

ვილაცა ეხვევა...

უალერსებს...

— ო, ლილი... ლილი...

ამოიკვნესა...

ლილი იმდულრება..

მგზავრებმა თავისუფლად ამოისუნთქეს...

არავინ დარდობს, მათგანი, გაბედულ ხანჯლიანზე...

ორნი?

ჰმ!..

ისინი ჩუმად იწვიან...

ამოტივტივებულ ელდერის გულიდან ნახეთქი სისხლის შადრევანი კი, მოუსვენარ ტალღების მარმაშა ზვირთებზე სწერდა საყვარელ სახელს:

— ლ...ი. .ლ...ი...

XLII

თითქოს გული იჯერაო:

ზღვა კმაყოფილი ბოყინით ბარბაცებდა...

სიბრაზეს უკლო...

ქარს დალალვა დაეტყო ..

შესვენება განიზრახა...

საკინძი შეიკრა...

ღრუბელთა ქარავანები გაიპო, და სცენაზე გამოჩნდა ნამძინარევი მთვარე...

ასწია ცალი ფარდა და ყბა მოღრეცილმა, ზმორებით გადმოამთქნარა...

რა დაეცა ზღვას, აიზიდა ანარეკლი...

იწყო ბანაობა...

მის ვერცხლის შუქზე სჩანდა, თუ ვით მიაქანებდენ ტალღები ნაპირისაკენ, დამრჩვალთ...

ზოგიერთი გადარჩენილი ნავი, დაღალულ შუბლს მაინც ახლიდა ზვირთებს, გაპობად...

შორს, ჰორიზონტზე, გამოჩნდა საოკეანო გემი, და...

აიტუზა იმედიანი პოზა...

XLIII

გადაითვალა დღეთა კრიალოსანი...



კუპის წყალი.

ნაპირზე გამორიყულთა შორის, რომელთაც სვავთა გუნდი უკორტნიდა თვალებს, დამაყრუები მეჯლისით, დადიოდა ვიღაც მოხუცი, წელში მოხრილი და გაჰკიოდა:

— შვილო, სადა ხარ, სად?!

მისი გოდება სძრავდა გარემოს...

— რაღა პირით ვეჩვენო მთას, თემს...

ზუზუნი...

წყევა...

ზღვის ნიავით შერხეული ხის ფოთლები შარიშურით აძლევდა ბანს...

მიჰყვება ნაპირს და ემუდარება ტალღებს:

— დამიბრუნეთ ჩემი სიამაყე, ჩემი შვილი!..

ტალღები დამშვიდებულნი ეხეთქებიან ნაპირს, თითქოს რაღაცას უპასუხებენო უთქმი ბუტბუტით, და რა, ნაპრალებს აწნავენ სილას.

კვლავ უკუიხევენ...

მზე იწვერება...

ზღვის პირად, კორდზე, მოხუცის ლოცვად დამდგარი სილუეტი...

ნამაზი...

— უო, უო, უო!..

ისმის მდინარის შესართავთან, ნადირთა ღმუილი.

— უუო, უუო, უუო!..

უპასუხებს, ხეობა, უპით...

XLIV

მოხუცი მიექანება...

საით?..

— შვილო, ელდერ!!!

შეჰღრიალა, რა იგი, ტალღებით გამორიყული, ბუჩქებში ჩობით ჩირგვებზე შენიშნა გამოდებული...

ვეფხვივით გაშოლტვილი ელდერი...

მის ხუჭუჭ თმაში ქიალუა ბუდეს იკეთებს...

ბროლის მაღალ ყელს გველი ეხვევა, ბანტად, და მას ალბად ლილის მალავები თუ ჰგონია, რომ გალურჯებულ ტუჩთ ღიმი ასთამაშებია...

— შვილო, რისთვის, რად?!.

ჰგოდებს მთის სიწმიდე—ომარი...

გულში იხუტებს შვილის გაციებულ გვამს, და... მისი შეშლილი სახე თითქოს კვლავ მოუთხრობს ელდერს მთის შვილთა თავგამეტებას...

ლამაზ თქმულებას...

ამღვრეულ თვალებს ელანდება საშინელ კატასტროფის მირაჟები...

და, ის... ის...

ლილი...

— ო, დამიბრუნე ჩემი ელდერ, დამიბრუნე!..

ისმის განწირული ხმა.

აგერა მისი მომღერალიც.

ლეო...

ზმანება...

ლანდები...

— დამიბრუნეთ ჩემი ელდერ!..

— უო, უო, უო!..

ნადირთა ყმუილი.

— სსს... სსს...

გველის სისინი.

— ზზზ... ზზზ...

სიოს სალბუნი.

— შშშ... შშშ...

ფოთოლთ შრიალი.

— ო, რად, რისთვის?!!

ომარის მოთქმა.

— ელდერ!..

ის კი..

XLV

კავკასიონის ამაყ კალთებზე იფურჩქნებოდა თავისუფლება...

ბორკილ ალეწილ პატარა ერთა ურჩი სიმღერა..

უკვდავი და დაუსრულებელი ლეგენდა წითელი დროშის...

სიხარული...

პოეზია...

ყიჟინა...

ათქვირებული ახალგაზრდობა...

რკინის რიგები...

დაფდაფი, და, ბრძოლად მზად ყოფნა...

სიყვარული...

ნეტარება...

და...

— ელდერი?

ო, ლამაზი თქმულება...

ზღვის ნაპირას, გორაკზე, ობოლი სამარე...

და, იდუმალი ძახილი:

— ო, რად, რისთვის?!!



წყალტუბო. აუზი აბაზანა.

### ე პ ი ლ ო გ ი:

და...

— ეხლა?.

— ეხლა, როგორც ჰხედავთ კავკასიონის ამაყ ქედზე ლამაზად ფრიალებს, საუკუნეთა კივილით, შეშლილი, წითელფუნჯა დროშა, და ცის ლურჯ სარკეში იბერტყავს დაფლეთილ კალთებს...

ანთება...

მისგან გაშოლტილი დროება იკლაკნება წელში და თაობიდან თაობაზე გადადის აჩღერებული ლეგენდა...

თავისუფლების ბრძოლებში ყალყზე ამდგარი და მუდამ, ყველაფერში თამადა, ყრმა საქართველო, მკლავებ გაშლილი მეჰქრის მაღლა, მზის მარჯნის ტუჩების დასაკოცნად.

მისი ფაფარ ნაყარი, უაღვირო რაში, ცეცხლიან ფრთებით მიაპობს ეთერს, და გაგანიერებულ ნესტოებით ნაფრქვევი ალი აჩენს ხანძარს...

ავრორა, ვარდის თითებით, შავ მერდინს უხევს სამყაროს, და ..

ელვის ძიება, მსოფლიო რადიუსით...

გამარჯვების პიედისტალზე აპავალი ჰეროლდი, საყვირით, და გამართული ქართული თქმა...

სიტყვა...

— და, ის ქალი?

— ლილი?

— ჰო..

— ჩვენი ახალი სათნოების-და...

ლიმილზე ვიცანი.

— ჰმ!..

— და, ასე...

— დრო ხომ ანელებს ხსოვნასაც კი, და... ალბად ეგეც...

— ო, არა, არა!..

გაისმა ატირებული ხმა.

მათ წინ ლილი იდგა.

სიჩუმე.

გასცნობოდა რა ახალ სამსახურს, გამოსულიყო ავადმყოფებთან, სასაუბროდ, და, რა მისდა უნებურ, ყური მოეკრა მისი თავგადასავლის ერთ უბედურ ნატეხისათვის, ჰალმას აჰყუდებოდა...



სეზმან ერთაწმინდელი.

და, ისმენდა რა ამ თქმულებას, დათუთქული, უკანასკნელ სიტყვამ ააკვნესა მისი საიდუმლო ქნარის სიმნი, დაჭრილი გულის სიღრმეში...

ვოგი დარცხვენილი ადგა.

წამოიშალენ სხვებიც...

მათ სახეზე ჰმუნვარება აევლო...

— და, ალბად მართალია, რომ ამბობენ, თითქოს, ყოველ მთვარიან ღამეს, ზღვის ნაპირას გამოჩნდება ხოლმეო ვინმე ასულის ლანდი, თმებ გაწეწილი, ყვავილებით, რომელსაც თვალის ქუთუთოებზე გადმოეკიდება, მარგალიტის მძივივით, ორი ობოლი ცრემლი და... სიყვარულით ანოყიერებს ელდერის სამარესო...

ჩაილაპარაკა გოგიმ.

— ლეო სადღაა?

— ლეო?

— ?!?

— მაშ,..

— ჰო...

— დაუშვით ფარდა!..

სეზმან ერთაწმინდელი.

# რუსეთის მეცნიერებათა აკადემია.

(ინფორმაცია: დაარსებიდან 200 წლის შესრულების გამო).

XVII და XVIII საუკუნეებში იქმნებოდა ის მეცნიერული მსოფლმხედველობა, რაც საფუძვლად უდევს დღეს ჩვენს მეცნიერულს პრაქტიკას.

მათემატიკის დიდმა მიღწევებმა გაუხსნეს გზა ასტრონომიის, ფიზიკის და ქიმიის ზრდას. მუშავდებოდა დასრულებული ახალი წარმოდგენა ბუნებაზე და თვით ადამიანზე რელიგიური მიდგომა ჰკარგავდა თავის სიმკვეთრეს, აზროვნება და სალი შეგნება იბყრობდა იდეოლოგიურ პოზიციებს. ენციკლოპედისტების მთელმა პლეიადამ მეცნიერულ კვლევაძიების სალი მაშტაბები შეიმუშავეს, ცნებათა შერევა არქივს გადასცეს, პროპორციების დაშლას ბოლო მოეღო. ერთი სიტყვით უშნო ასიმეტრიულ გადახრებს ადგილი აღარ ჰქონდა.

ამუშავდა ლაბორატორიები, ცხოვრების პულსმა ნორმალურებად იწყო ცემა. დაიწყო მეთოდების შეგნებული შერჩევა: პიროვნების ცალკე მუშაობა არა პროდუქტიულად იქნა ცნობილი, ვინაიდან ვერ აკმაყოფილებდა მეცნიერულ მუშაობის ძალზე აწეულ მოთხოვნილებათ. დაიწყო სწავლულთა საზოგადოებათა ორგანიზაცია, რომელთა შორის აკადემიებმა საპატიო ადგილი დაიჭირეს.

რუსეთს ამ პერიოდში „პეტრეს რეფორმები" ახასიათებდა: ყურადღება მიექცა განათლებას და მეცნიერებას; შეიქმნა „მეცნიერებათა აკადემიის" ტიპი, რომელიც განსხვავდებოდა ძველი იტალიანურ ჰუმანიტარულ მიმართების აკადემიებისაგან. ეპოქა ითხოვდა მეცნიერების შესწავლას. მართალია პეტრე დიდი, დიდი ენციკლოპედისტ მათემატიკოსის ლეიბნიცის უშუალო გავლენის ქვეშ, მოქმედებდა, მაგრამ დიდს სიმპატიებს გრძნობდა პარიზის აკადემიისადმი, რომლის წევრადაც იყო არჩეული, რუსეთის პირველი აკადემიკოსები უცხოელები იყვნენ. მათემატიკოსი გერმან, გოლბახ, ისტორიკი ბაიერ, ასტრონომი და კარტოგრაფი დელილ, ისტორ. მიულერ მატ. ეილერ, მაგრამ დიდის დაინტერესებით და სიყვარულით მოჰკიდეს საქმეს ხელი.

დამახასიათებელია, რომ პეტერბურგის პირველი აკადემიკოსები მათემატიკები იყვნენ: პირველი სამეცნიერო მოხსენებაც აკადემიაში 1725 წ. — მათემატიკური; 200 წლის განმავლობაში მათემატიკას სხვა მეცნიერებათა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა და დიდი მათემატიკოსები მთელს დროს აკადემიას ამშვენებდნენ (როგორიცაა ჩებიშევ და ლიაპუნოვ).

**პრაქტიკა:** ქვეყნის გამოკვლევას განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს. აკადემიას შეუძლია იამაყოს მით, რაც მას გაუკეთებია ამ მიმართებით. დაარსების თითქმის პირველ წლებიდანვე აკადემიამ მიჰყო ხელი ყ. რუსეთის იმპერიის ყოველმხრივ გამოკვლევას ორი გზით: 1) სპეცების სამეცნიერო ექსპედიციები აკადემიის უშუალო ხელმძღვანელობით და 2) დახმარება ადგილობრივ მკვლევარებს (კრაევედებს) 1745 წ. გამოვიდა აკადემიის მიერ შედგენილი რუსეთის პირველი მეცნიერული გეოგრაფიული ატლასი.

აკადემიის ზრდა მუდმივი იყო: მასში სისტემატიურად მუზეუმები, ლაბორატორიები, ობსერვატორიები და სხვა სამეცნიერო ინსტიტუტები ეწყობოდენ.

ლომონოსოვის ქიმიური ლაბორატორია — ქიმიის ინსტიტუტად ჩამოყალიბდა და მათემატიკა, მიწის მაგნეტიზმი და სეისმიური საქმე ფიზიკო-მათემატიკურ ინსტიტუტში გაერთიანდენ. მოეწყო სამი ბიოლოგიური ლაბორატორია.

პეტრე დიდის ძველ კუნსტკამერიდან, (პირველი რუსული მუზეუმს აკადემიური მუზეუმები წარმოიშვნენ: 1) ანტროპოლოგიის და ეტნოგრაფიის, 2) ზოოლოგიური, 3) გეოლოგიური, 4) მინერალოგიური, 5) ბოტანიკური, რომელნიც საერთაშორისო მნიშვნელობას არ არიან მოკლებულნი; პარალელურად იქმნებოდა აზიური მუზეუმი, აღმოსავლეთის ხალხმა საუკეთესო ბიბლიოთეკა, რომელიც დღეს მთელს მსოფლიოზე საუკეთესო ბიბლიოთეკადაა მიჩნეული. აკადემიასთან არსებობს იაფეტოლოგიის ინსტიტუტიც.

იმპერიალისტური ომების დროს დაარსებულ იქნა ორი კომისია, რომელთაც რევოლიუციის დროს გაშალეს შემოქმედებითი ფრთები: 1) ს. ს. რ. კ. ბუნებრივ საწარმოო ძალების (КЕПС) და 2—მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობის შემსწავლელი (КИПС) კომისიები.

დღეს 200 წლის თავზე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემია 30 მეტ ინსტიტუტის პრაქტიკას აერთიანებს და ითვლება ერთერთ მსხვილ სამეცნიერო ცენტრად მთელს მსოფლიოზე.

მისი იუბილეს გამო აკადემიას სახელწოდება ეცვლება: „რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის" მაგიერ დაერქვა:

„ს. ს. რ. კ. მეცნიერებათა აკადემია".

მოვლენა სიმპატიური და ისტორიულად გამართლებული; ხოლო, საქმე სახელწოდებაში არაა, უსურვოთ ამ სახელისათვის შესაფერი შინაარსიც მიეცათ.

---

დღეს როდესაც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი და მშრომელი ინტელიგენცია ზეიმობს „პროლეტარიატის და მეცნიერების" დამეგობრებას, ბურჟუაზია მეცნიერული კვლევა ძიების პერსპექტივებს, აყალბებს.

ტექნიკურ ინტელეგენციის კლასიკურ მხარეში — „დემოკრატიულ" ამერიკაში, ძალთა მექანიკურ დაჭიმვის მატერიკზე ჯვაროსანთა ომებია გამართული **ევოლუციონური თეორიის** წინააღმდეგ. აკრძალეს სკოლებში „დარვინიზმი" და ადამიანის გაჩენას „ძველ აღთქმას" უკავშირებენ.

დასავლეთის ბურჟუაზია ყოველმხრივ დეკადანსს განიცდის, რომელსაც თავი თიხის ქოთანსავით მოაქვს, აცხადებს პრეტენზიებს კულტურაზე, ცივილიზაციაზე იმ დროს, როდესაც ამერიკაში დღესაცაა მონებით ვაჭრობის შემთხვევები: ადამიანი, როგორც საქონელი.

დიდ სოციალურ კადასტროფას არ შეეძლო არ გამოეწვია ღრმა იდეური და კულტურული დაშლა იმ კლასში, რომელსაც დიდი ხანი არ არის მას აქეთ რაც მაგრად ეჭირა ხელში ჩვენი პლანეტის ღერძი". ბურჟუაზია მოიცვა შიშმა. რეაქციამ ხერხემალი გაიმაგრა, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოების უალრესად მერყევ ფენის — ინტელიგენციის იდეალისტურ ფილოსოფიაში და მისტიკაში დაბნეულ ექსკურსიებს.

ინტელიგენციას იდეოლოგიური მეტრი დაეკარგა,

(თუმცა არასდროს არა ჰქონია ვ. ლ.) პერსპექტივა გაუბრუნდა და შეუგნებელ გზების შერჩევისაკენ“ ვაიყურება. ზოგჯერ კი ეს რელიგიურ-მისტიურ-ანარქისტული იდეები რადიკალურ ფრაზებსაც იშველიებს (ექსპრესიონიზმი).

გ. ზიმელის, კორნელიუსის, შპანის შპენგლერის და ბრიანის ალსასრულის თეორიები— საუკეთესო ილიუსტრაცია ხსენებულ იდეურ რღვევისა; ბურჟ. ევროპის იდეოლოგიურობისა. პროფ. შპანის წიგნი: „მკვდარი და ცოცხალი მეცნიერება“ „ნატურალიზმის“ და „დუალიზმის“ უარყოფა **რელიგიურობის** გასამართლებლად. შპანი პროტესტს აცხადებს „მექანიკურ“ და „მიზეზობრივ“ მეთოდის წინაალმდეგ, რომელიც მისით „მკვდარია“. ეს უკვე გადახრაა ინტუიტიური მეცნიერებისა და მისტიკისაკენ; მეცნიერება ხურდავდება მისტიკად.

ქ. მარქსი სწერდა: **პროლეტარული რევოლუციის წინ, ბურჟუაზიისაგან იწყებენ ჩამოშორებას უველაზე კეთილშობილი ფიგურები რომელნიც მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში დგებიანო.** (ამ პროცესის დაჩქარება დამოკიდებულია ბურჟუაზიული ეკონომიკის და „გონების“ ჩქარ რღვევაზე.) ასეთი ფიგურა რუსეთში ცნობილი პრო- ფესორი კ. ტიმირიაზევი იყო.

მსოფლიოზე ცნობილი დარვინისტი, ღრმა მოხუცისაუკეთესო თესლი მე XIX-ს. ახალგაზრდა მსოფლმხედველობით, ჭაბუკი გულით. დიდმა მეცნიერმა ხელი გაუწოდა მებრძოლ პროლეტარიატს იმ დროს, როდესაც საბრალო სიკოფანტები ვერ შერიგდებოდენ ოქტომბრის ფაქტს; ამხ. ბუხარინის სამართლიანი შენიშვნით დიდმა მეცნიერმა კ. ტიმირიაზევმა ოქტომბრის პროლეტარულ ბარიკადებში ჰპოვა კაცობრიობის ახალ ისტორიის კარები. რატომ მოხდა ეს ასე? დაიკარგა „დიდი სტილი“, გამეფდა ქაოსი.. მეცნიერება დაეცა, მეცნიერების სათანადო დონეზე დაყენება მშრომელთა განთავისუფლების დროსაა შესაძლებელი, საზოგადოების განვითარების ლოგიკა ოქტომბრის ფაქტისაკენაა. აი რატომ ვხედავთ ამხ. ტიმირიაზევს რ. კ. პ. (ბ) პროლეტარიატის რიგებში.

ძალთა განწყობილების ლოგიკის ძალით კლემენტი ტიმირიაზევს, მრავალი „ტიმირიაზევები“ ჰოემატე იან, ვინაიდან კაპიტალისტურ ეკონომიკასთან ერთად დაშლას განიცდის ბურჟუაზიული გონებაც.

ბურჟუაზია ოდესღაც რევოლიუციონური იყო: იგი ამხობდა ფეოდალურ ციხე-სიმაგრეებს, იჭრებოდა ბუნების „მისტერიაში“ და ებრძოდა მის ბრმა ძალებს: მან აღმართა ტელესკოპები ეთერისაკენ, რკინის ქსელით გადახაზა დედამიწის ბური ი, დაიპყრო ასეული მილიონი მონები აალორძინა მეცნიერება, **შექმნა კულტურა.**

დღეს ისტორიისაგან უარყოფილია და საზოგადოებრივ ფორმათა არქივისაკენ მიექანება.

თუმცა კვლავ სცდილობს მდგომარეობის შენარჩუნებას: სდგამს 75 მ. მ. ზარბაზნებს გიგანტიურ ჰაეროპლანებზე, აშენებს ფლოტს, ქიმიური მრეწველობა (სამხედრო) მშრომელთა აუარებელ დოვლათს ინიავებს.

კულტურულ საქმიანობაში: მართავს დემოკრატიისათვის კოველ ეკლესიაში უფასო კინოებს სხვადასხვა ბიბლიურ და რეაქციონურ ფილმებით. მეცნიერული საქმიანობა კი განისაზღვრება უმთავრესად სამხედრო ქიმიურ ლაბორატორიებით და მრეწველობით.

იგონებენ ქიმიურ სითხეებს, ბაქტერიოლოგიურ ყუმბარებს წითელი საშიშროების მოსასპობად.

დღეს ბურჟუაზიას არ სცალია „მეცნიერულ“ პრაქტიკისათვის, ვინაიდან არ შესწევს ძალა მისთვის. უფრო მნიშვნელოვანია ახალი განმანადგურებლების გამოგონება.

ჩვენ კი ჩვენი პრაქტიკულ აღმშენებლობითი საქმიანობით „დავთხრით ბურჟუაზიას მის დამპალ კბილებს და ალვადგენთ თავის უფლებებში **ადამიანის გონების ყოვლის შემძლებელ ძალას**“. (ბუხარინი)

ამის თავდებია ს. ს. რ. კ. მეცნიერებათა აკადემია!“ სალამი „რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას“, მის 200 წლის იუბილეს! გამარჯვება და გამართლება „ს. ს. რ. კ. მეცნიერებათა აკადემიას“. პროლეტარიატისა და მეცნიერების დამეგობრებას.

ქ. თბილისი 27 ივლისი 1925 წ. **ვ. ლუარსაბიძე.**

P. S. საიუბილეო ზეიმი დაიწყება ლენინგრადსა და მოსკოვს 5 სექტემბრიდან, გასტანს ორ კვირას; მონაწილეობას ღებულობს როგორც დასავლეთ ევროპის და ამერიკის აკადემიათა წარმომადგენლები, ის აღმოსავლეთის. **ვ. ლ.**



# მხატვარი თამარა თავაძე.

მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა მხატვარი ქალი თამარა თავაძე, რომელიც ეხლა ირიცხება მოსკოვის უმაღლეს სამხატვრო ტეხნიკურ სახელოსნოების მეო ხე კურთხე პროფ. შევჩენკოსთან. თამარა თავაძეს იცნობს თბილისის სამხატვრო წრეები; ის წინად მუშაობდა აქ, და მის მიერ თბილისის სახელმწიფო ოპერაში გადგმულ იქნა: „კარნავალი“, „პოლონური ბალი“ და „გრენადას ყვავილები“ საკუთარ ესკიზებით კოსტიუმებით და დეკორაციებით.

თამარა თავაძე ღებულობდა მონაწილეობას გამოფენებზე როგორც თბილისში ისე პროვინციებშიდაც.

1922 წ. ის საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გაიგზავნა მოსკოვში უმაღლეს სამხატვრო ტეხნიკურ სახელოსნოებში. სადაც ამხ. თავაძე მიღებული იქნა სპეციალურ სახელოსნოში მას ჩაბარებული აქვს ყველა გამოცდები და დარჩენია მხოლოდ სადიპლომო მუშაობა.

„(უმაღლესი სამხატვრო—ტეხნიკური სახელოსნო)“.

„ვხუტემესის მიერ მოცემულ მოწმობიდან სჩანს, რომ თამარა თავაძე ითვლება ერთ საუკეთესო და ნიჭიერ მხატვრად და მიღებული აქვს რამოდენიმე ამ ჯამთარში ჯილდო თავის ნაწარმოებებში. პროფესორმა ის წარადგინა ასისტენტათ.

**ნ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ბუმერანგ-მაშაშვილი

# ურმული

(პოემა „ურმული“ არის პირველი ნიმუში ქართულ ნეოკლასიკურ რევ. პოეზიის.)

ღამე ჩამოწვა
კამეჩივით
მდინარის პირად.
სცოხნის სიჩუმეს.
წყალში ჩავარდა ნეგატივი
შუახნის მთვარის,
მდინარე ტომბა,
ტომარივით ჩრდილდაკერილი
კლდეში მარხია.
ხემარტ-ხეკენტი,
ხეგამხმარი სდგას
ყაჩაღივით.:.
ლანდი—დაფლეთილ
ნაბადივით ხეზე კიდია.
მეურმემ ხის ქვეშ
მიატოვა ცეცხლი ცოდვილი
და:
დააფრინდა კოფოს
ძერასავით,
პირუტყვის ტყავზე მტვრევით
გადატყდა შოლტის ტრაზახი.
ურემმა ზარზაცით
მხრები აიჩეჩა.
ისმის მეურმის ხმა ხრინწიანი:
— ორე, ხიორე —
და ხმები — გამომხმარ
ნახველივით ეხლება
ღამეს სახეზე.
ურემმა ტყე შემოირტყა
და მეურმის
ურმული ზარასავით
გაგორდა გზაზე:

—მთვარე ღრუბელში
მიგორავს,
მთვარე ღრუბელში
ბანაობს,
გასწი, ბუსკავ და
ნიკორავ,
ჰარალი, ჰარი,
ჰარალო.
—ცხოვრება ლოდათ
დამაწვა
ცხოვრება გაუგებარი,
საწყალმა ღლიურ ლუკმისთვის
ცოლს და შვილს
გამოვეპარე.
— გამწარებულმა ლატაკმა
ეგებ ვიშოვო
გროშები,
ფაცხაში მიცდის
ცოლშვილი
შიშველი - შეუმოსები.
—სად გავექცევით
ცხოვრებას
ჩვენ მისი მონა-მსახური:
ჩვენი იმედი შრომაა
ტანჯვაში
გამოსახული.
—ჩვენ მაინც
მეგობრები ვართ
და ურმულს ლექსად
გიკონავ,
გასწი, გაგორდი ურემო,
გასწი ბუსკავ და
ნიკორავ.
—ურემო, ჩემო ურემო
მუხის ხისაგან
გათლილო,
მიშველე:
სოფლის საუნჯე
ქალაქში გადავათრიო.
—მე სოფლის
პროლეტარი ვარ,
ძმებო, რათ უნდა დავმალო,
გასწი, ბუსკავ და
ნიკორავ,
ჰარალი; ჰარი, ჰარალო
ჰა, გადაიქრა
სიგრილე,
ქალაქში შევალთ მალეო,
ბუსკავ,
შენ უკან დაიხი —
ნიკორა შეიბრალეო.
—მალე გაჩნდება
ქალაქი,
ქალაქი რკინის ურმებით,
სადაც ცხოვრება
ხარხარებს
და გარბის
გახმაურებით.
--როს მოგვაწვება თვალებში
სიცხე გაშლილი
დანებათ,
ვიცი;
არ მოგეწონება
ქალაქი ცეცხლისთვალება.
—ნუ შეგაშფოთებს ხმაური
და რბენა ცეცხლის კუნთებით,
ჩემო ბუსკავ და ნიკორავ
კვლავ ტალახს
დაუბრუნდებით,
მთვარე ღრუბელში
მიგორავს,
მთვარე გედივით ბანაობს,
გასწი ბუსკავ და
ნიკორავ,
ჰარალი, ჰარი, ჰარალო.

მხატვ. თამარა თავაძის.



**მუშის პორტრეტი (ეტიუდი).**

მიდის მეურმე,
ურმის კოფოდან
ყალიონივით
სევდას აბოლებს.
ხშირი სიბნელე.
ხშირი შარა
და ხშირი ღამე.
მიდის მეურმე
და ფიქრი თავზე
ახურია კაბალახივით.
ირგვლივ სიბნელე
და სიჩუმეა.
ვის გაუგონია,
ასეთი ღამე
ვის გაუგონია
მგზავრობა ამ დროს.
ტყეში სიჩუმე.
ტყე სიჩუმეში.
ცა-ცხრილი ბადე
თევზე? ივით
ბოჭავს ვარსკლავებს.

ამ დროს მეურმე
ურემს მირეკავს.
შარამშიერი.
შარასაშიში.
რა გადალახავს ამ მთებს,
უღრანებს
და ტყვიის ნისლით
დაფარულ ველებს,
რა გადალახავს ამ უღრანებში
ქვანახშირივით
დაყრილ სიბნელეს?
შარამშიერი.
შარაშორი
შარასაშიში —
ირგვლივ კლდეებით შემოროფილი
ო, საშიშია.
ო, საშიშია მგზავრობა ამ დროს,
ამ დროს მეურმე
ურემს მირეკავს.
მთაზე გადაშლილ
ვარსკლავებით
ჩნდება ქალაქი.
მატარებელმაც ძროხასავით
შორს დაიბღავლა.
ამ დროს მეურმემ
დედა შეიგინა:
—ორე, ხიორე—
და მტვერევა შოლტის
პირუტყვს სარტყელივით
ტანს შემოერტყა.
მწვანე სიჩუმეც გატყდა
მინასავით
და ნამსხვრევებათ
ტყეს გადაესხა.
დადგა სიჩუმე და გაოცება.
შარამშიერი,
შარაშორი
ხშირი ტყეებით გარშემორტყმული
ო, საშიშია!
ო, საშიშია
მგზავრობა ამ დროს:
გადმოვარდება მთიდან ვეფხივით
ვინმე ყაჩაღი:
გზას შეაჩერებს
და ქრება ტყეში...

—

ღამე ალაგიდან
ეტლი ცაიძრა.
მოაფრენს ნეპმანს.
ეტლმა სირბილით
ხიდე ჩაყლაპა—
და უღრან ტყეებს ამოეფარა.
მირბის სირბილით გზას გაეკიდა
და მატარებელს
უნდა მოუსწროს.
მიფრინავს ეტლი,
მიაფრენს ნეპმანს,
ნეპმანს კი შიში
გუდასავით ზურგზე აწვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგიტირებენ, ნეპმანო,
დედას,
თუ ამ ულრანში
გავლას გაბედავ.
ტყეში ზის ვინმე
მხეცი ყაჩაღი
და ახრჩობს
მგზავრებს დაუნდობლად.
როგორ გაბედე
წამოსვლა მარტო,
მოშალე სუნთქვა,
ქარივით გასწი,
ალბათ არ იცი რა ხდება
ამ დროს,
ალბათ არ იცი რა ხდება
ამ გზით.
მიფრინავს ეტლი,
მიაფრენს ნეპმანს,
მეეტლე თავის დღეებზე
დარდობს,
ვის გაუგონია
ასეთი ღამე?
ვის გაუგონია
მგზავრობა ამ დროს?
იცოდე: სისხლი
ბედს დაგისველებს,
თუ გზაზე ვინმემ
ძალით დაგჩაგრა,
იცოდე: ეს ტყე და ეს
სიბნელე
თვით მეეტლესაც
გახდის ყაჩაღათ.
გასწი მეეტლევ,
ტყეს რომ ჩაიარ,
ულრანთან ალბათ
ვინმე დაგხვდება,
გასწი მეეტლევ
და „ჩუმჩაირა“
გადაუშალე ცხენს მათრახებათ.
მიქრის ეტლი და
მიათრევს ნეპმანს,
ნეპმანი თავის დღეებზე
დარდობს,
ვის გაუგონია
ასეთი ღამე,
ვის გაუგონია მგზავრობა ამ დროს?

—

მიდის მეურმე
და მღერის ურმულს.
გზაზე ზარასავით ზარავს
ურმული.
ირგვლივ სიჩუმე
და სიბნელეა.
მთვარე მწყემსივით
წელში მოხრილი
ცაზე ღრუბლების
ფარას მირეკავს.
აგერ: ცხენების
სუნთქვა — შურდული
მოარღვევს ღამეს:
ეტლმა ქორივით
ურემს გაუქროლა
და მიიმალა.

—

უეცრად ახირდა ტყე უდაბური.
ტყემ ჩუმგაროზი
შემოიხია...
და გადმოვარდა
რისხვით ყაჩაღი:
— შეჩერდ!

. . . . . .

. . . . . .

შუა შარაზე შიში დაეშვა.
შუა შარაზე
შეწყდა ურმული.
ურემი შეჩერდა.
ისმის: ხი ორე —
მეურმემ გან:ბა სული მავთული
და იკეცება
წელში გარმონივით.
შუა
შარაზე შიში დაეშვა.
შიში ხაბარდა
შლის შავარშინებს.
შუა შარაზე
შეწყდა ურმული.
ურემი ისვენებს.
მეურმე შეყურებს ყაჩაღს
ლაჩარივით
და:
სმენა ნამგალივით
ყურებზე კიდია
ყაჩაღი მშვიდი ყოფილა ოდეს?
ყაჩაღი ნაზი
ყოფილა კაცი,
კაცი, რომელიც
მზეს ემალება
დასანდობია?
მისთვის ცხოვრება
დანის პირია,
მისთვის ცხოვრება მოკლე თოფია.
მაგრამ, ჰა გესმით
ყაჩაღი:
— დაჯექ, ძმობილო,
დაჯექ, დამშვიდდი,
ახლა აქ ეტლმა
ხომ ჩაგიარა?
?
კარგი, დამშვიდდი.
დამიგდე ყური.
კარგი, ნუ შიშობ,
გფიცავ: მე შენთვის ავი
არ მსურდეს.
შავ დროს მოვედი!?
შავად კი არა!
მე მსურდა მხოლოდ
ჩემი ცხოვრების
შავი ამბავი გამეზიარო.

ნახატი თ. თავაძე.



უპატრონო. (ეტიუდი)

—ფიქრს უკან ვიყავ
თავგანწირული.
ფიქრს უკან ვიყავ
დაუნდობელი.

. . . . . .

წელან იმ ეტლში მყოფი
ნეპმანი
მსურდა გამეტაცა.

. . . . . .

მაგრამ, ამაოდ.
გამასწრო ეტლმა.

. . . . . .

. . . . . .

გაფრინდა ეტლი
და ბოროტი განზრახვა
ვერ შევასრულე.

. . . . . .

შორით მესმოდა
შენი ურმული,
ჩემი წარსულის გამომსახველი:
შენმა ურმულმა
მე ჩამაფიქრა...
და იარაღზე ავიღე ხელი.
დიახ, ურმულმა
მე ჩამაფიქრა
ჰო და... ფიქრებში
გამისწრო ეტლმა.

. . . . . .

. . . . . .

ძმაო, მეც ვიყავ ოდეს მეურმე
ურემი ეწვია
ჩემს ბედს დანახშირს,
ჩემი დღეებიც
შოლტების ხმაზე
მიქონდა ურემს
ტყეში- ტალახში.
ო, მეც მიყვარდა
მღერა ურმულის,
მეც გამივლია
ძმაო, ამ გზითაც
და სიღარიბე
ტანგამურული
მტვრიან ტომარივით
ურმით მიზიდავს.

. . . . . .

მაგრამ, იმედო,
დაეშვი მტვერში,
ჩაქრა ბედის მზე,
ჩაქრა, დაბნელდა,
და იმის შემდეგ
საქმე მაქვს ტყეში,
საქმე მაქვს
ტყეში თოფთან, დანებთან.
ეს გახლდათ სწორედ
ათი წლის უკან,
დაფიქრდი, ძმაო,
ეგებ გახსოვდეს:
ცეცხლზე ცხელი
და რკინაზე მკვრივი
სიმშილის შიში
სწვავდა ამ სოფელს.
ახლა სხვა დროა
და სხვა მთავრობა,
დღეს შრომას უფრო
დაედვა ფასი:
მაშინ არავინ აღარ
ზრუნავდა
საწყალ-ღარიბის
დახმარებაზე.
სოფელი სწუხდა
ბნელ ქოხმახებში
სიმშილი იდგა
მათხოვარივით,
ქალაქს აღრჩობდა
უმუშევრობა
და ვინ სტიროდა:
მონა-ღარიბი.
სიმშილისაგან
მომიკვდა ცოლი.
შვილის ამბავი?

. . . . . .

. . . . . .

ეხ, ეს ცხოვრება
ძმაო, მკაცრია,
თავო უბედურო
სადა ხარ ახლა,
ალბათ ჩემი ქოხი

ქარმა წააქცია
ალბათ ჩემი ქოხი
ქარმა დამარხა.
დიახ, ის იყო
მომიკვდა ცოლი,
შვილს კი:
ურემმა თავი გაუპო,
ერთხანს მარტოკა
სიმშილს ვებრძოდი
და მეც სიკვდილის
მელოდა კუბო.
რა უნდა მექნა,
მდგომარეობას
აღარაფერი
აღარ შველოდა:
სოფელში იწვა
ტანჯვა-სიმშილი
და ქალაქებში—
უმუშევრობა
მე გასაქანი
არ მქონდა მეტი,
ან რას მირჩევდა
ცხოვრება მკაცრი,
გარდა იმის, რომ
მეთქვა: „შეჩერდი"
და წიწილივით
დამელრჩო კაცი?!
დიახ, არ მქონდა
მეტი საშველი,
კართან სიკვდილიც
იყო მომდგარი
და გაჭირვებაც
ჩამჩურჩულებდა:
—გასწი, მოჰკალი,
—გასწი, მოჰკალი!
დავწყევლე ბედი,
ხელში ავიღე
პირგალესილი დანა და
თოფი,
ვსთქვი: აწ არავის
აღარ დავინდობ,
ვსთქვი: აწ არავის
არ დავენდობი.

. . . . . .

—შესდექ!
ეს იყო თავდაპირველად
გლეხი ყაჩაღის
თქმა გაბედული.
და თუ გაქცევას
დააპირებდა
დანა მისდევდა:
პირ-ცოფიანი, პირგაბასრული.
მაშინ პირველად
მოვკალი კაცი.
ო, კაცის სისხლში
დავსვარე დანა.
და იმის შემდეგ
ტყეებში დავრწი,
და იმის შემდეგ
ტყეებში დავალ!
მგონი ათმა წელმა
განვლო ბორბალივით,
რაც ამ ხელობას
ვემსახურები,
ათი წელია, რაც კომბალივით
მუხლებში ვტყდები
და ვიხუნები,
მახსოვს: მომიკლავს,
მომიკლავს... კაცი...
ზოგი თოფით და
ზოგი ამ დანით,
შენ გიკვირს ალბათ,
რომ ქვეყანაზე
დავდივარ ამდენ
ცოდვის ატანი.
მაგრამ, რას იზამ,
ეს ყველაფერი, ძმაო,
ცხოვრების ნაკარნახია:
მე ტყვია მეძებს,
მე ტყვიით ვკვდები
და ეს სიკვდილი
ჩემთვის ახია.
სიმართლე მეცვა
ტანზე ხალათად,
ჩემი დღეებიც დნებოდენ
მტვერში.
სანამ ცხოვრებამ
არ მიღალატა,
სანამ ტყეებში არ გადავეშვი.
ჩემი ცხოვრება
რას დავამსგავსო,
თუ არა ტყეში
ქარალდს გაფრენილს,
ჩემი ცხოვრება შიშია მხოლოდ,
შიშია მხოლოდ
სხვა არაფერი.
ახლა ულდიდი მგზავრებს მომავალს,
თუ გახსოვს ეტლმა რომ ჩაიარა...
წელან შიკრიკმა
ცნობა გადმომცა:
—ეტლი გამოდის!..
...ეტლი იტევდა გაბერილ ნეპმანს
და მიათრევდა სადგურისაკენ...
...მიკვირს აქ გასვლა
რაფერ გაბედა?
როს ღამე ბრაზით სავსეა, სავსე?
ალბათ პირველად
არის ამ სოფლად,
ალბათ პირველად
გადის ამ გზაზე.
ჰო და ის იყო აქ ჩაუსაფრდი
და მას ულდიდი მშიერ
დათვივით!
...მაგრამ, ეხ, ძმაო,
შენმა ურმულმა
მეც ჩამაფიქრა
და დამაღონა
ეტლი გაფრინდა,

ჩემი განზრახვა
რკინის ბურთივით
დაპლა გაგორდა.
ეტლი გაფრინდა
და მე აქ დავრჩი...
რადგან შემიპყრო
შენმა ურმულმა,
დავრჩი და შენი
ურმულით დაჭრილს
გადამავიწყდა ყაჩაღის ვალი.
ო, ჩემში ხდება სხვა გარდატეხა,
მე ის არა ვარ
რაც ვიყავ წელან,
თუ დრო მიმქონდა
ტყეში ამდენხანს
დღეს სინათლეზე
მინდა ცხოვრება.
რადგან სხვა დროა,
სხვა საშვალება,
წარსულზე შიში
ვერ შემაშინებს,
დავყრი იარაღს
და შევიქნები
მეკურტნე მუშა
ან მენახშირე.
უბედური ხარ, თავო საწყალო,
გწყევლის მტერი და
ნათესაობაც,
...მშვიდობით, ძმაო,
..მშვიდობით, ძმაო,
კეთილი იყოს შენი მგზავრობა!

—

გაქრა ყაჩაღი
ტყეში ნისლივით.
ყაჩაღი ისევ ტყემ შეიფარა...
...მაგრამ...
ყაჩაღი მზეს ელოდება.
ხვალე გაიშლება პერგამენტივით
და ჩვენი გმირი ჩამოწერს:
...—„შრომა“-ს.

მხატვ. თამარა თავაძე.



დურგალი (ეტიუდი).

დარჩა მეურმე
ურმის კოფოზე.
მეურმეს აერთოლებს
შიში—ზამბარი.
ზის კითხვასავით გარინდებული.
...ორე, ხიორე—...
ისმის მეურმის ხმა ხრინწიანი.
ურმის ტირილი
ტირიფივით დაიმტვრა ტყეში.

ტფილისი.
აგვისტო.

# ლენინი სქესის საკითხების შესახებ.

ამხანაგი კლარა ცეტკინი თავის ბროშიურაში „ლენინზე“. შეხვედრები და მოგონებები (გამოცემა „მოსკოველ მუშის“, 1925 წ.) გადმოგვცემს საუბარს ვლადიმირ ილიჩთან სქესის საკითხების შესახებ, რომელსაც ჰქონდა ადგილი 1920 წლის შემოდგომაზე. რადგან ეს საკითხი მეტად საჭირ-ბოროტო არის, ჩვენ საჭიროდ ვთვლით მოვათავსოთ რამოდენიმე ნაწყვეტი ამ საუბარიდან ვლ. ილ. ...თუმცა მე ასკეტი არა ვარ, მაგრამ ეგრედ წოდებული „ახალი სქესობრივი ცხოვრება“ ახალგაზრდობის და ხშირად უფროსების, უმეტეს შემთხვევაში წარმომიდგება ნამდვილ ბურჟუაზიულ ყოფად, ბურჟუაზიულ საროსკიპო სახლის ერთ სახედ. ყოველივე ამას არავითარი საერთო არა აქვს თავისუფალ სიყვარულთან, როგორც ეს გვესმის ჩვენ, კომუნისტებს. თქვენ, რასაკვირველია, კარგად იცით ცნობილი თეორია იმის შესახებ, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში სქესობრივ ლტოლვის და სიყვარულის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ისეთივე უბრალო რამ არის, როგორც ჭიქა წყალის დალევა. ამ ერთი ჭიქა წყლის თეორიამ ჩვენი ახალგაზრდობა გადარია. ეს თეორია შეიქნა საბედისწერო მოზარდ თაობისათვის. მისი მომხრენი ამტკიცებენ, რომ ეს თეორია მარქსისტულია. მადლობას მოგახსენებთ ამგვარ მარქსისზმისთვის.

ერთი ჭიქა წყლის ცნობილი თეორია მე მიმაჩნია არა მარქსისტულად და ამის გარდა არა საზოგადოებრივად. სქესობრივ ცხოვრებაში თავს იჩენს არა მარტო ის, რაც არის მოცემული ბუნებით, არამედ ისიც, რაც შემოტანილია კულტურით, სულ ერთია, იქნება ეს ზნეობრივი თუ უზნეო. ენგელსი „ოჯახის წარმოშობის ისტორიაში“

ამბობს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სქესობრივ სიყვარულის განვითარება და გამახვილება.

მე არ ვქადაგობ ასკეტიზმს, მე ეს არც მიფიქრია. კომუნიზმს უნდა მოჰქონდეს არა ასკეტიზმი, არამედ აღფრთოვანება და სიხარული, რომელიც აგრეთვე გამოწვეულია სქესობრივ სიცოცხლის სრულყოფით. მაგრამ, ჩემის აზრით, ხშირად შემჩნეულ სქესობრივ ცხოვრების სიჭარბეს არამც თუ არ მოაქვს აღფრთოვანება და სიხარული, პირიქით ანელებს მათ. რევოლიუციის ხანაში ეს ცუდია, მეტად ცუდი!

ახალგაზრდობას განსაკუთრებით სჭირდება ბედნიერება და სიხარული. ჯანსაღი სპორტი, ვარჯიშობა, ცურაობა, ექსკურსიები, ფიზიკური და გონებრივი შრომა, სწავლა, გამოკვლევა და ყოველივე ეს, შეძლებისდაგვარად, შეზავებულად. ყველაფერი ეს აძლევს ახალგაზრდობას გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე მუდმივი მოხსენებები და



ახტალის საცხოვრებელი ბარაკები.

დისკუსიები სქესის საკითხების და ცხოვრების გამოყენების შესახებ. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული! არა დონჟუანი, არა ბერი, მაგრამ არც გერმანელი ფილისტერი, როგორც რაიმე საშუალო. თქვენ ხომ იცნობთ ახალგაზრდა ამხანაგს X. მშვენიერი, უნიჭიერესი ყმაწვილია. მე ვშიშობ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მისგან ხეირი არ გამოვა. ის ხარბად დაეძებს სიყვარულს. ეს არ ვარგა არც პოლიტიკურ ბრძოლისთვის და არც რევოლიუციისათვის. მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ქალები, რომელნიც თავის რომანს უკავშირებენ პოლიტიკას, იქნებიან ბრძოლაში მტკიცე და საიმედო; აგრეთვე მე არა მაქვს იმედი იმ მამაკაცების, რომელნიც დასდევენ ყოველ კაბას და ემორჩილებიან ყოველ დედაკაცს. არა, არა, ეს არ ეგუება რევოლიუციას...

რევოლიუცია მოითხოვს ძალთა დაჭიმვას მასსებისაგან და პიროვნებისაგან. ის ვერ აიტანს ორგიასტულ მდგომარეობას, რომელიც დამახასიათებელია დანუნციოს დეკადენტურ გმირებისათვის. თავშეუკავებლობა სქესობრივ ცხოვრებაში ბურჟუაზიული მოვლენაა, ის გახრწნის მაჩვენებელია. პროლეტარიატი აღმავალი კლასია. იმას არ სჭირდება დათრობა, რომელიც მის გონებას აბნელებს და აშფოთებს. პროლეტარიატისთვის არ არის საჭირო დათრობა ალვირ-ახსნილ სქესით და ალკოგოლით. მას არა აქვს უფლება დაივიწყოს კაპიტალიზმის სისაძაგლე, ჭუჭყი და ბარბაროსობა. ის პოულობს შთაგონებას ბრძოლისათვის თავისი კლასის მდგომარეობაში და კომუნისტურ იდეალში. მისთვის საჭიროა, რომ ყოველივე იყოს ნათელი, ნათელი და კიდევ ნათელი. ამიტომ, ვიმეორებ, არ უნდა იყოს არავითარი სისუსტე, არავითარი გაფლანგვა და განიავება ძალების. თავდაჭერილობა, თვითდისციპლინა არ არის მონობა; ეს საჭიროა სიყვარულშიდაც.

---

## Pierre Hamp.

საფრანგეთში გრძელდება ხაზი: ეგოცენტრიზმიდან ინტერნაციონალიზმისაკენ; ა. ფრანსმა და ბარესმა მიატოვეს სკეპტიციზმი; ანრი გილბო: ებრძოდა დაჩირქებულ აკადემიზმს და შექმნა ლიტ. სკოლა დინამიზმი; რ. როლანს შერჩა რენანის სკეპტიციზმი და რომანტიული კულტი თავისუფლებისა; „ექსტრემისტები“.—ბარბიუსმა გაიარა შოვინიზმი, ვილსონიზმი და ამჟღავნებს თავის კომუნისტურ ორიენტაციას.

„დადაიზმი“ (რომლის საშოც იუმორი, ცინიზმი და ნილილიზმია) რეაქციაა, „საბხედრო ქნონიკებისადმი და nouvladux riches-თა (ახლად გამდიდრებულთა) სუბუქ სულიერ განწყობილებათა გამოხატვაა. მორან'ში—მოცემულია საგრძნობი ლიტ. კოსმოპოლიტური ხაზი. ვ. ლარბო: თავის განთავისუფლება შევიწროებისაგან, რომელიც გამოწვეულია სიმდიდრის მიერ; ბერჟეს სამხედრო ეპოპეა და მტვერ წაყრილი სიყვარული; სერსტევენსის—სანტიმენტალური მაწანწალა: დეკლასიურ ინტელიგენტის ტრაგედია, რომელმაც რუბრიკებად დაყოფილ საზოგადოებაში ვერ მიიჩინა თავისი ადგილი, ინტელიგენტის უნიადაგობა გზების შერჩევაში; მართლაც, რომ „ჰიპნოზი და ისტერია შესამჩნევ მოვლენად ხდება“ (გილბო).

აი კონტურები თანამედროვე საფრ. ლიტერატურულ

სინამდვილისა; ამპი თავისებური მწერალაა, რომელმაც შრომის მძიმე სკოლა გაიარა;—ჰიპნოზი და ისტერია მისთვის გაუგებარია, პრაქტიკულ გამოცდილებათა კაციაფართო ტეხნიკური ცოდნით. ამპ მხატვრულ ლიტერატურაში თავის განსაკუთრებულ ხაზით მოდის.

ლიტერატურულ ვირტუოზობის ჩვეულებრივი ჟესტები, დაქანცული სტილი, კამერული მუსიკა, ფსიქოლოგიური ცრემლი, სიუჟეტის კონსტრუქცია—გაქანების ცოდნა, ჟან კოკტოს სუბუქი საკიოსკო ფრაზები ამპისათვის დიდი მნიშვნელობისა როდია!—იგი სანტიმენტების გა-



ახტალა. დიდაკაცთათვის ცივი აბაზანი.

რეშე სდგას და მისი სტილი ტეხნიკური ლექსიკონით ხასიათდება.

ამპ პიერისათვის მწერლობა სერიოზულ თემათა და საგანთა ალაპარაკებაა. „მხატვრის წინაშე დღეს— შრომაა“. მას შემდეგ, რაც ადამიანი იძულებული იქნა თვისი ოფლით მოიპოვოს პური, ყველაფრის მასაზრდოებელმა შრომამ მთელი საუკუნეების განმავლობაში ვერ ჰპოვა ღირსეული გამოხმაურე-



ახტალა. მამაკაცთათვის ცივი აბაზანი.

ბა“ (პ. ამპ). ბელეტრისტმა მიზნად ამ ნაკლის ამოვსება დაისახა. მისი რომანები: „კაცობრიობის სიმძიმე“, „დაუძლეველი შრომა“, „საფრანგეთი—მუშათა ქვეყანაა; „რელსები“,—კოლექტიურ შრომის პროცესს და შრომასთან დაკავშირებულ სოციალ-ეკონომიურ პრობლემათ ამჟღავნებს; „ოქროს მაძიებელნი“ კი როზენტალის სწორი შეგნებით კალიფორნიის გაევროპიულებული ყოფაა.

ამპ უახლოვდება ზოლას, თუმცა მათ შორის დიდი დაშორებაცაა; ზოლას ობიექტი: მშრომელი ადამიანია. ამპის—შრომა. მეთოდები: ზოლას თვისებაა ჭარბი ნატუ-

რალიზმით, ამპის—ზომიერი რეალისტური ტონები. ამპ. ისათვის ადამიანი შრომის პროცესის ერთერთი ფაქტორია; ზოლა: როგორიც არ უნდა იყოს მისი თემა, ცდილობს მის მოქცევას მხატვრულ მოყოლის რუბრიკებში. ამპის მეთოდი მთლად ფაქტიურ მასალაშია მოცემული; არ ატყვევებს თავს „პოეტიკით" და მომენტებით: მხატვარიცაა და რეპორტიორიც.

---

დასავლეთის კონტინენტზე მწერლებს შორის მუშათა კლასის მეგობრები ძალზე მცირეა. პატენტიანი ბელეტ-

## ბ ო რ ჯ ო მ ი



ნორჩი მოაგარაკენი.

რისტები სწერენ იმაზე, თუ როგორ ესთეტიურად სცხოვრობს ბურჟუა, „ესთეტიურ" შეყვარებაზე, ოთახის ლამაზ მოწყობილებაზე: როკოკოს არეული სტილი, ეკზოტიური სამოსი, წითელი ხის შეზლონები, პარფიუმერია და ოპიუმი, ფოქსტროტი და ორგია, ამერიკელ კაპიტალისტთა იახტები, კმაყოფილ ბურჟუათა ნაზ და დაქანცულ სულიერ განწყობილებათა მოცემა და სხ..

ამერიკა—ევროპაში პროლეტარიატის ენერგია კლასობრივი ბრძოლის ინერციით მიდის წინ. სერიოზულ



ბორჯომი. ლიკანი.

შეგნებით მწერლებმა ფაქტს ანგარიში გაუწიეს: დასტოვეს ფილისტერთა და კოკაინისტების ოტელები და

გულისყური ინდუსტრიალურ ცენტრების რიტმს მიაპყრეს. ფაქტი: სინკლერ, ბარბიუსი (კ. პ. წევრი), პ. ამპ; (რამოდენიმედ ფრანს, მიუზამ, ტოლლერ). ამპ (Hamp) სიღარიბიდანაა გამოსული, ბავშვობისას პარიზის საკანდიტროში მსახურობდა, შემდეგ კი რკინის გზაზე.

**ფაქტები:** **„შამპანიური"**—ამპის საუკეთესო რომანია, სადაც მოცემულია: არისტოკრატები ანანასით და შამპანიურით, ლორდები და პასტორები, მელანქოლიკები, მაღალ მატერიებზე მობაასენი, აქ ბურჟუაზიული რომანისტი დაუშრეტელ მასალას იპოვიდა პატიოსან გვამთა გრძნობათა და „იდეების" აღწერისათვის. ამპ კი სხვაგვარად იქცევა: გვაჩვენებს საუკეთესო ხარისხის შამპანიურის დამამზადებელ ადგილს, რომელიც არისტოკრატის ნაზ გემოვნებას ატკბობს.. და სექსუალურ ვნებათა აშლას იწვევს; ეს ცნობილი ფირმაა გარტმანის და ამხ., სადაც „ღვინის ჩამომსხმელი მიწის ქვეშ გალერეებში სცხოვრობს, როგორც თაგვი"; „ათი კაციდან ხუთი ვერ იტანს ამ ხელობას; მათი დაქანცული მაჯები სკდებიან, ხელების ნერვიული თრთოლვა აღუნებს მოძრაობის აუცილებელ სისწორეს".. შემდეგ კი ვარდებიან სიღარიბის და სიმშილის რკალებში.

ბოთლების დასამზადებელი ქარხანა. შუშის ქარხნების მუშების ცხოვრების შემაძრწუნებელი სურათები: ტემპერატურა 1000°, ცეცხლის ატმოსფერა; ბავშვები, რო-

მელთაც სდით დამწვარი ადამიანის ხორცის სუნი; იშვიათია ადამიანი, რომელიც უზრუნველყოფილია დაწვისა, კანის დაშაშრასა და ავადმყოფობისაგან.

**„რელსები“**—მწერალი ყველგან ადამიანის მძიმე შრომასა ხედავს, ყველაფერში შრომის რიტმების აგორებაა მოცემული; მატარებელი მიქრის... მოცემულია რკინისგზელის ცხოვრება, მათი მექანიზმსავით სწორი მუშაობა; მატარებლის მიერ დასახიჩრებულ-გადაჭრილიბის განსაზღვრული პროც., რომელთა დაკრძალვისათვის კომპანია 100 ფრანკს იღებს; გაფიცვის ამაღელვებელი სურათი და მუშების დამარცხება; პარაზიტების ჯიბეები სუქდება, რომელნიც წყნარად მოგზაურობენ საერთაშორისო მიმოსვლის ვაგონებით. ფორმალურად: უფრო ტეხნიკური „სიტყვარია“, ვიდრე მხატვრული ნაწარმოები.

**„ხალხი“**—დურგალი ირონიით და სიბრალულით შესცქერის ყბედ თეატრალურ კრიტიკოსს, რომელსაც წიგნების თაროს უკეთებს.

**„ქებათა-ქება“**—პროლეტართა დავიწყებული და უფლება აყრილი ქვეყანა ღია ფერებითაა მოცემული მის შესანიშნავ წიგნში („ქებათა ქება.“) პ. ს. კოგანი შემდეგს ამბობს: „ეს—ნამდვილი პოემაა, შემზარავი და განსაცვიფრებელი ზღაპარი ჩვენი დღეებისა, ზღაპარი იმის შესახებ, თუ ადამიანთა ტანჯვის, გრძნობების, ვნებათა და შურისძიების ზღვიდან როგორ იბადება ნელსაცხებლის პატარა ფლაკონი“.

Piers Hamp დიდი მწერალია, რომელიც იძლევა შრომის პროცესებს; გასაკვირველია, საიდან იცნობს ყოველგვარ დეტალებს, ბავშვის პატარა ტანში კუნთების ყოველგვარ მოძრაობას, რკინისგზელის ყოველ მექანიკურ მოძრაობას. გრძნობთ, რომ მთელი წარმოება შეისწავლა (ასეთივე ინდუსტრალური პოეტი რუსეთში კომკავშირელი **შვედოვი-ა**), რომ ის ითვისებს თანამედროვე ცხოვრების მოვლენათა სხვა და სხვაობას რომელიმე გიგანტურ ფაბრიკის, შეუწყვეტელ მოძრაობის სახით: ამ მთვრალია შრომით, შრომის ღთთია. მართალია, თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობაში, კაპიტალისტურ წარმოების ნიადაგზე შრომა უფრო ანათემაა, ვიდრე ენტუზიაზმი, მაგრამ შრომა თავისთავად ხომ სიხარულია, ცხოვრების საფუძველი და მამოძრავებელი ძალა! პროლეტარიატი ათავისუფლებს შრომას და მომავალ ორგანიზაციული შრომის საზოგადოებაში, შრომა სიხარულის სინონიმი შეიქნება.

ამპი ყოველთვის ვერ ხედავს იმ გარკვეულ ხაზს, რომლითაც აუცილებლობის სამეფოდან თავისუფალ შრომის სამეფოში გადავდივართ. თავის შრომაში: **„შრომა გზა ჯვარედინზე“** იგი მოუწოდებს საფრანგეთის მრეწველობას აწევისაკენ, მოუწოდებს თანამედროვე საფრანგეთის ინდუსტრიას ორგანიზაციულობისაკენ, დეფექტების გამოსწორებისაკენ; **ამპი მხატვარი ღრმაა, ამპ—პოლიტიკოსზე**, მისი სახეები უფრო მეტყველი მაჩვენებელია გზის, ვიდრე მისი აზროვნება. ამპს იდეოლოგიური ასიმეტრიული გადახრები აქვს, თუმცა კომუნისტურ ორიენტაციისაკენ მიიმართება.

Hamp, თანამედროვე ფრანგულ მხატვრულ ლიტერატურაში ერთერთი მსხვილი ფიგურაა.

**ვ. ლუარსაბიძე.**

რედაქტორი **მ. კახიანი.**



ბორჯომის პროფკავშირთა დასასვენებელი სახლი.

სტამბა გაზ. „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქ., № 4. შეკვ. № 2531. ტირაჟი 1500 მთავლ. 1217.